№ 72
ოთხშაბათი, 11 მაისი

1877—1905

№ 72
ოთხშაბათი, 11 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверiа“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა ფრეილინის ქუჩაზე № 5.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მაისიდან წლის დამლევამდის 6 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверіа“.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
მ. გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
ექიმი ქალი **ა. მ. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. №) 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.
კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპავა—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

ახირებული მდგომარეობა

ჩვენს „დასელებს“ ერთი ფრიად დამახასიათებელი ზნე სჭირთ: საკმარისია რაიმე აზრში არ დაეთანხმოთ, რომ მაშინვე, თქვენის საბუთებისა და ლოღიკურ მოსაზრების დარღვევის მაგივრად, „ბურჟუაზიის იდეოლოგად“ და მომხრედ მოგნათლავენ და ასეთის იაფის „არგუმენტაციით“ მკითხველების წინაშე ვითომ თავის აზრებისა და ტაქტიკის სისწორეს „ამტკიცებენ“. საჭირო არ არის საბუთების დარღვევა, არ არის საჭირო თავის შეწუხება,—საკმარისია, თურმე, ორის სიტყვის გაზეპირება, რომ ყოველი მათი აზრის საწინააღმდეგო მოსაზრება და მოქმედება დაგმობილ და უარყოფილ იქმნას. მაგალითად, მოთხოვნა 8 საათის სამუშაო დღისა არ ვარგა, როცა ამას „ბურჟუაზიის იდეოლოგები“ აცხადებენ, ხოლო კარგია, როცა იგივე მოთხოვნა თვითონ „დასელებს“ უწერიათ „პროგრამაში“. ერთის სიტყვით, ყოველი სოციალ-პოლიტიკური ღონისძიება სასარგებლოა ან უსარგებლო არა თავის მნიშვნელობის საფუძვლით, არამედ იმის მიხედვით, თუ ვინ არის მომხრე ხსენებულ ღონისძიებისა. ავტონომია, მაგალითად, არ ვარგა იმიტომ, რომ მას თავად-აზნაურობაც თხოულობს...

ასეთი მსჯელობა, რასაკვირველია, ყოველ შეგნებულ მკითხველს გააცინებს, და ჩვენც სწორედ სიცილის ღირსად მიგვაჩნია იგი. მაგრამ თვითონ „დასელებს“ ასეთი „სიბრძნე“ დიდ საბუთად, შეურყეველ ჭეშმარიტებად აქვთ წარმოდგენილი.

ჩვენ გვინდა დღეს ასეთი შეხედულება ერთის წუთით შევითვისოთ და თვითონ დასელების „ტაქტიკას“ ამ მათივე მსჯელობის რეცეპტის მიხედვით თვალი გადავავლოთ.

სწორედ ახირებული სურათი გვეშლება თვალწინ ამგვარ „ლოღიკის“ წყალობით. წარმოიდგინეთ, საქმის გარემოება ისეთია, რომ თვითონ „დასელები“ გამოდიან ბურჟუაზიის მომხრენი და მოწინააღმდეგე კლასთან მჭიდროდ შეთანხმებულნი...

როგორც მოგეხსენებათ, სომხის ბურჟუაზია უარ-ჰყოფს ეროვნულ ავტონომიათა პრინციპს და თხოულობს მთელის კავკასიისთვის ერთ საერობო თვითმართველობას. ჩვენი „დასელებიც“ ამგვარ „საოლქო თვითმართველობას“ ეტრფიან. მათის აზრით, კავკასიას უნდა მიეცეს ერთი ცენტრალური ორგანო თვითმართველობისა, სადაც, სრულიად-რუსეთის კანონმდებლობის ფარგალში, უნდა სწყდებოდეს ხოლმე კავკასიის შინაური საქმეები. თქმა: „სრულიად-რუსეთის კანონმდებლობის ფარგალში“ იმას ნიშნავს, რომ „საოლქო თვითმართველობის“ ცენტრალური ორგანო აღმსრულებელი იქნება იმ საზოგადო კანონებისა, რომელსაც პეტერბურგის პარლამენტი გამოსცემს მთელის რუსეთისათვის. ამ ორგანოს არ ექნება უფლება გამოსცეს კავკასიისათვის რაიმე კანონები ან სავალდებულო დადგენილებანი. ასეთივეა აზრი სომხის ბურჟუაზიისა, მხოლოდ ისინი ცოტათი წინ მიდიან და ამბობენ, რომ კავკასიის „საერობო კრებას“ უნდა შეეძლოს განიხილოს კავკასიის შესახები ის კანონ-პროექტები, რომელსაც შემდეგში სრულიად-რუსეთის საკანონმდებლო ორგანო გადასწყვეტს და დააკანონებსო.

ერთად-ერთი განსხვავება „დასელებსა“ და სომხის ბურჟუაზიას შორის ამ შემთხვევაში ის არის, რომ ბურჟუაზიას დავიწყებია ეთქვა რამ იმ წესის შესახებ, რა წესითაც უნდა სწარმოებდეს არჩევნები კავკასიის „საერობო კრებისათვის“. „დასელები“ კი ამბობენ, არჩევნები უნდა იყოს საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და იდუმალიო. მაგრამ,—ვინ იცის,—მათის ხათრისთვის ბურჟუაზიამ, იქნება, ეს შეცდომა გაასწოროს და „დასელთა“ მოთხოვნას სრული სოლიდარობა გამოუცხადოს...

იგივე სომხის ბურჟუაზია თხოულობს, რომ ოსმალეთიდან გადმოსახლებულებს კავკასიაში ნადელები მიეცეს და მიწები დაურიგდეს. რუსეთის ბიუროკრატია, რომელსაც ამ შემთხვევაში, ყოველ ეჭვს გარეშე, თანაგრძნობას და ზნეობრივ სოლიდარობას უცხადებს ბურჟუაზია, ცდილობს, რომ კავკასია და კერძოდ საქართველო გადმოსახლებულ რუსის გლეხებით გაავსოს და ამგვარად გაადვილოს მკვიდრთა გარუსების საქმე. ჩვენი „დასელები“ ამაზე ამბობენ,—არ იფიქროთ, რომ ეს ჭორი იყოს,—ეს მათ-მიერ დაბეჭდილი და ხელმოწერილი გახლავთ,—„დასელები“ ამბობენ: გადმოსახლება ეკონომიურ განვითარების შედეგი არისო და ამიტომ ეურჩევთ ამხანაგებს, არ დაჰკრან და წინააღმდეგობა არ გაუწიონ უცხოთა გადმოსახლებასო. როგორც ხედავთ, ამ საგნის შესახებ ისინი სოლიდარულად მოქმედობენ სომხისა და რუსის ბურჟუაზიასთან...

რასაკვირველია, ძნელი შესათანხმებელია ადგილობრივ გლეხის ინტერესი ამგვარ „პოლიტიკასთან“,—ბევრ ადგილას გლეხები პირდაპირ თხოულობენ, რომ ჩვენს მიწა-წყალზე, რომელიც თვითონ ჩვენ არ გვყოფნის, უცხოებს ნუ ასახლებენო,—და ამიტომ ძნელიც უნდა იყოს გლეხთა ინტერესების დაცვა დაიჩემოს „დასელთა“ ბანაკმა. მაგრამ ეს მათის გონიერებისა და პროგრამის უცოდველობის მაჩვენებელია, რაიცა, იმედია, მალე თვით გლეხებისთვისაც ნათელი და გასაგები გახდება. ყოველ შემთხვევაში, ეს შეუსაბამობა სიტყვასა და საქმეს შორის ჩვენ დღეს არ გვაინტერესებს.

საინტერესო ის არის, რომ „დასელები“, რომელნიც სხვებს წამდაუწუმ „ბურჟუებს“ ეძახიან და ბურჟუაზიის სოლიდარ ამხანაგებად სთვლიან, თვითონ, თავის ტაქტიკითა და პოლიტიკურ მოთხოვნით ბურჟუაზიას გვერდში უდგანან და ამგვარ უხერხულ მდგომარეობაში კმაყოფილად და ხალხის ინტერესების დამცველად გრძნობენ თავიანთ თავს.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა საააგენტოებისაგან)

7 მაისი.

ვარშავა, 6 მაისი. მოკლულ დობროვოლსკის, რომელმაც აფეთქება მოახდინა, უპოვნეს რევოლვერი და ქაღალდები. მედოვის ქუჩის მახლობლად ბევრნი დაატუსაღეს. გენერალ-გუბერნატორმა სავადმყოფოში დაჭრილების ამბის გასაგებად მოხელე გაგზავნა.

მელეკესი, 7 მაისი. სართავ ქარხანაში გაიფიცა 200 ფეიქარი. თხოულობენ ხელფასის მომატებას. გამოიწვიეს პოლიცია. უწესოება არა მომხდარა-რა. ქარხნის დანარჩენ განყოფილებებში მუშაობენ.

ჰააგა, 7 მაისი. (ამსტერდამის სააგენტო). 9 მაისს გამოაცხადებენ სამედიატორო სასამართლოს დადგენილებას იაპონიისა, გერმანიისა, საფრანგეთისა და ინგლისის შორის ატეხილ საჩივრის შესახებ, უცხო ქვეყნების კონცესსიების რაიონებში იაპონიის-მიერ გადასახადების შემოღების გამო.

ვარშავა, 7 მაისი. მედოვის ქუჩაზე აფეთქების გამო დაჭრილია 21, მოკლულია 3. ჩქარა დახმარება აღმოუჩინეს 18, რომელთა რიცხვშიაც ერთი სახლში წავიდა. მოკლულები გადაასვენეს ანატომიურ თეატრში. დაჭრილებში ერთი სტუდენტია, ორი გიმნაზიელი და სამი ქალი.

უფა, 7 მაისი. პროფესსორ რაზუმოვსკიმ გუბერნატორის ჭრილობა სასიკვდილოდ არა სცნო.

პეტერბურგი, 7 მაისი. უმაღლესმა საზღვაო სასამართლომ ინგლისის გემის „კალხასის“ წყნარ ოკეანში „გრომობოის“-მიერ დაჭერის საქმის შესახებ დაადგინა: ბამბა და ხის მასალა ჩამოერთვას, მანქანების ნაწილების დანიშნულების გამოსარკვევად მოიწვიონ თვით პატრონნი, დანარჩენი მასალა და გემი განთავისუფლდეს. გემის გაჩერება საფუძვლიანად ჩათვალეს.

კავკავი, 7 მაისი. გაფიცვა ჯერ არ შეწყვეტილა. მაღაზიები და სახელოსნოები დაკეტილია, ეტლების მიმოსვლა შეჩერებულია. ქუჩებში უწესოება არა ხდება.

იურიევი, 7 მაისი. საბეითალო ინსტიტუტში გაკრულია განცხადება, მე-4 კურსის ყველა სტუდენტს ნება ეძლევა გამოიცადოს 1-ლ ენკენისთვიდანო. დღეს სწავლა დაამთავრა ოცმა ბეითალმა.

ნოვოჩერკასკი, 6 მაისი. აკურთხეს ამაღლების ტაძარი, რომელსაც ას წელიწადს აშენებდნენ და რომელიც დაჯდა ორ მილიონად. ტაძარი დიდებული რამ შენობაა.

დონის როსტოვი, 7 მაისი. მატროსებისა და გემების მტვირთავ მუშათა გაფიცვის გამო, ექსპორტები დიდს გაჭირვებაში ჩავარდნენ. საზღვარ-გარედ ხორბლის გაგზავნის დაგვიანებას დიდი ზარალი მოსდევს. ზაფხულის განმავლობაში ვერ მოასწრებენ შემოსულ ხორბლის გაგზავნას, მარიამობისთვეში კი ახალი მოსავლის ხორბალი მოვა.

პარიჟი. ამ უკანასკნელ კვირაში იტალია წყალდიდობამ ძლიან დააზიანა. ზარალი 25 მილიონს აღემატება.

ეკატერინოდარი, 7 მაისი. გაიფიცნენ ტრამვაის მოსამსახურენი. მეეტლეთა გაფიცვა ჯერ არ შეწყვეტილა.

8 მაისი.

ბელოსტოკი, 7 მაისი. ქარხნების პატრონნი ცდილობენ დაითხოვონ ქარხნებიდან გასათხოვარი და ქმრიანი ქალები და ადგილები მისცენ უსაქმოდ დარჩენილ მამაკაცებს. ზოგიერთ ქარხნებიდან კიდეც დაითხოვეს.

ორენბურგი, 7 მაისი. გარდაიცვალა ევფიმოვსკი-მიროვიცკი, რომელიც 28 წელიწადი რედაქტორ-გამომცემლად იყო მთელს გუბერნიაში ერთად-ერთი კერძო გაზეთის „ორენბურგსკი ლისტოკ“-ისა.

პარიზი, 7 მაისი. ვატიკანი დიდს მნიშვნელობას აძლევს ხელმწიფე იმპერატორის უკანასკნელ უქაზს პოლონეთის საკითხის შესახებ: ახლო მომავალში პოლონეთი აღორძინდებაო.—ოსმალეთის მინისტრთა საბჭოში აღძრულია საკითხი ალბანეთში ახალ ავტონომიურ ვილაიეტის დაარსების შესახებ.

ეკატერინბურგი, 7 მაისი. გაიფიცნენ ვერხოტურეტის ქარხნების მუშები და წარადგინეს რამდენიმე მოთხოვნილება მხოლოდ ეკონომიურს ნიადაგზე.

პეტერბურგი, 7 მაისი. ოფიციალური. დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის სახელობაზე გამოცემულ უმაღლეს რესკრიპტით, საჭიროდ იქმნა ცნობილი შეიარაღებულ მხედრობის გაძლიერება რუსეთის იმპერიაში და ამ აზრით, დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის თავმჯდომარეობით, დაარსდა კიდევ ერთი უმაღლესი დაწესებულება—სახელმწიფოს დამცველი საბჭო, რომლის წევრებსაც თვით ხელმწიფე დანიშნავს. სახელმწიფოს დამცველი საბჭო შეაერთებს შეძლების დაგვარად ხმელეთისა და საზღვაო სამხედრო სამმართველოებსა და მთავრობის სხვა დაწესებულებათ, რომ ყველამ ერთად მიიღოს ღონისძიებანი სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველ-საყოფელად. ნამდვილს მის უდიდებულესობის საკუთარ ხელით აწერია: „ვჰგიებ მარადის თქვენი კეთილის მსურველი ნიკოლოზ“.

მინსკი, 7 მაისი. მოსკოვ-ბრესტის რკინის-გზის სახელოსნოების ყველა მუშა, 300 კაცი, დაითხოვეს. სადგურს ჯარი იცავს.

ბაქო, 8 მაისი. აქა-იქ გაფიცვა დაიწყო. შეჩერებულია მუშაობა ნობელისა, შიბაევისა, მირზოევისა, ზორნისა და რუნოს სამრეწველოებზე. მუშაობა შესწყვიტეს ნობელის, კასპიის ამხანაგობისა და შიბაევის ქარხნებშიაც.

მოსკოვი, 7 მაისი. ყაზანის გზით ბაქოდან მომავალ ექსპრესზე, რომელიც დღეს მოვიდა დიდის დაგვიანების შემდეგ, სადგ. სუვოროვსკაიასთან ცეცხლი გაუჩნდა ბარგის ვაგონს. რაც შიგ ბარგი და საქონელი იყო, დაიწვა. განადგურდა ტომრები და ფოსტის კორრესპონდენციებიც.

დონის-როსტოვი, 7 მაისი. კავკასიის რკინის გზის სახელოსნოებში ყველამ მუშაობა განაახლა, გარდა 200 კაცისა. გუშინ გათავდა გემებზე მომუშავეთა გაფიცვა, დღეს—პურის მცხობელებისა. ამ უკანასკნელთა მოთხოვნილებანი არ დაუკმაყოფილებიათ.

შავლი, 7 მაისი. გაფიცვა ყველგან გათავდა.

სტამბოლი, 7 მაისი. ოსმალეთ-რუმინიის განხეთქილების გამო პორტას რუმინიის ელჩ ლაგოვართან ისევ მოლაპარაკება აქვს. ელჩს განზრახვა აქვს 10 მაისს გაემგზავროს, თუ მანამდე განხეთქილება არ მოისპო.

ცეტინიე, 7 მაისი. (კორ. ბიურო). ჩერნოგორიის მთავარი ნიკოლოზი ბერლინს გაემგზავრა იმპერატორ ვილჰელმის სანახავად.

სტამბოლი, გუშინ ბულგარიის საელჩოს მრჩეველს ქალაქს გარედ თავს დაესხნენ ოსმალოს სალდათები, 5 კაცი. გვამი მსუბუქად დაიჭრა. დამნაშავენი შეიპყრეს.

ბერლინი, 8 მაისი. სტამბოლიდან დეპეშით იუწყებიან, პორტაც მზად არის საქმე არ გაამწვავოსო, მოელიან, რომ რუმინიასთან განხეთქილება ჩქარა მოისპობა. მოლაპარაკების საქმე კარგად მიდის.

მოსკოვი, 8 მაისი. დუბიანსკის ბაღში თავი მოიყარეს კიტაი-გოროდის მაღაზიებისა და დუქნების ნოქრებმა და გადასწყვიტეს, სთხოვონ აღებს, კვირა-უქმე დღე სავაჭროები დაჰკეტონ ხოლმე, გააუმჯობესონ ნოქართა ყოფა-მდგომარეობა და საქმის დღეებშიაც შეამცირონ სამუშაო დრო. ყრილობაზე მოვიდა გრადონაჩალნიკი. საქმე გამოკვლდა. დაკეტილი მაღაზიები ისევ გააღეს.

ვორონეჟი, 8 მაისი. ნოქრებმა ჩამოიარეს გაღებულ მაღაზიებს და სთხოვდნენ დაეკეტათ. ნოქრებს ხულიგანებიც შეუერთდნენ. კაზაკებმა ბრბო გაჰფანტეს.

მინსკი, 9 მაისი. ყველა დამზღვევ საზოგადოებათა მოსამსახურენი გაიფიცნენ. ტანიშევსკის მანქანათა ამგებელ ქარხნისა და მაუზერის ფაბრიკის მუშებიც გაიფიცნენ.

ლოძი, 9 მაისი. გირშბერგისა და ბირნბაუმის ქარხნის მუშებმა უწესოება მოახდინეს გამოიწვიეს კაზაკები. გუშინ წმ. ჯვრის კოსტელში ქსენძს რაგოზინსკის, რომელიც ხალხს ურჩევდა, ნუ ხმაურობთ და აღკრძალულ სიმღერებს ნუ ამბობთო, შეურაცხყოფა მიაყენეს. გეინცლისა და კუნიცერის საქციონერო საზოგადოებამ ვიძევში თავისი ქარხანა განუსაზღვრელ დრომდე დახურა, რადგანაც მუშების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეუძლებელი შეიქნა. ამ ქარხანაში 4000 მუშა იყო.

რიგა, 8 მაისი. დუნტენგოფის ქუჩაზე დასჭრეს გოროდოვოი და მის საშველად მოსული ყარაული. უკანასკნელად ორ გაფიცულ ქარხნებში 9 მაისს მუშაობა დაიწყეს. ამით ფაქტიურად დასრულდა მუშათა გაფიცვა.

ათინა, 9 მაისი. დეპუტატთა პალატაში საპასუხო სიტყვაში მინისტრ-პრეზიდენტმა დელიანისმა განაცხადა, რომ მთავრობისათვის სასურველია კრიტზე დროებითი მმართველობის გამოცვლა, თუმცა ეს სახელმწიფოთა სურვილზეა დამოკიდებული. საბერძნეთმა მოთმინება უნდა იქონიოს და ნდობით ეპყრობოდეს მთავრობას. ბატონიშვილი გიორგი—თავდება კრიტის და საბერძნეთის გაერთების. უკეთუ შეერთება სახელმწიფოთა ნება-დაურთველად მოხდა, გაერთიანება დასუსტდება. დელიანოვს არ მოსწონს ფარისოში მოძრაობა. იმედოვნებს, რომ გაძლიერებული ზომები მალე გაუქმდება კუნძულზე და კრეტაც სახეიროდ გადასწყვეტს საკითხს, თუ გარემოება ხელს შეუწყობს.

პოზნანი, 9 მაისი. დაატუსაღეს ვარშაველი სტუდენტი ვლადისლავ პაველოვსკი, რომელიც ხატავდა ფორტს № 5. რუქაზე სხვა ფორტებიც დახატა.

სტამბოლი, 9 მაისი. რუმინიის მთავრობის ბრძანების თანახმად, თუ ერთის კვირის განმავლობაში რუმინია არ დააკმაყოფილა ოსმალეთმა, რუმინიის საელჩო სტამბოლიდან წავა.

ბელგრადი, 9 მაისი. პაშიჩის სამინისტრო სამსახურიდან გადადგა.

პეტერბურგი, 9 მაისი. ოფიციალური. გაზეთებში დაბეჭდილი იყო, ვითომც უცხოელ კაპიტალისტებს წინადადება მიეცეთ რუსეთის მთავრობისათვის,—დიდძალ ფულს გასესხებთ, თუ საწინდრად სახაზინო რკინის გზათა შემოსავალს მოგვცემთო; ფინანსთა სამინისტრო აცხადებს: ჯერ ერთი, ასეთი წინადადება არავის მოუცია და, მეორე—ხსენებულ სამინისტროს არც განზრახვა აქვს და არც ძალიან ესაჭიროება ამგვარ სესხის აღებაო. უსაფუძვლოა აგრეთვე ის ხმები, ვითომც მთავრობას განზრახვა ჰქონდეს საექსპლუატაციოდ გადასცეს ზოგიერთი სახაზინო რკინის გზები კერძო საზოგადოებათ.

დონის როსტოვი, 9 მაისი. ვაჭრებმა დაბალ ხარისხის პურს ფასი მოუმატეს. გაჭირებაში ჩავარდნენ მუშები, რომლებიც მარტო პურით იკვებებიან. რადგანაც ქალაქში გავრცელდა გადამდები ავადმყოფობანი, იღძრა საკითხი მუშათა მდგომარეობის სანიტარულის მხრივ გაუმჯობესების შესახებ. ხორბლის საწყობების მუშებმა ნახიჩევანში სთხოვეს ქალაქის გამგეობას, სამუშაო ნიხრის დაწესების შესახებ მუშებსა და ვაჭართა შორის შუამდგომლობა გაეწიოს. ამის შესახებ ამ ცოტა ხანში ვაჭრებს ბჭობა ექმნებათ.

სტამბოლი. სულთანის სურვილით შესდგა მისია, რომელმაც უნდა შეამოწმოს ბულგარიიდან ხმოსულების ვინაობა. ოსმალოს 500 ოფიცერი, სკოლაში გამოცდის შემდეგ, ფიცს მიიღებს და მაკედონიაში წავა.—რუმინიის მთავრობა თხოულობს იმ მოხელეების სამსახურიდან გადაყენებას, რომლებმაც რუმინიის სკოლების ორი ინსპექტორი დაატუსაღეს.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

7 მაისი

ტოკიო, 6 მაისი („ტაიმსი“). რუსები ისხინიდან საიდორენამდე 42 მილის მანძილზე სდგანან. ბრძოლა აუცილებელია. იაპონელები კაიუანიდან, ჩანტუფუდან და ფაკუმინიდან სამ კოლონად მოდიან. რუსებმა ტუნგუადან და სინკინიადან დაიხიეს, ჯარებს მოუყარეს თავი ვანკაოძთან, ტუნგუას ჩრდილოეთით 40 მილის მანძილზე და შემდეგ დაიხიეს ჩრდილოეთისაკენ.—(„დეილი ტელეგრაფი“). რუსები მოქმედებენ ჩრდილოეთ-კორეაში ეიოვო-კიევსკიდან, სადაც ამართულია სიმაგრეები, აშენებულია სავადმყოფოები და დამზადებულია დიდი სურსათი. იაპონიის გვარდიამ მარცხენა ფრთეზე იერიში მიიტანა რუსებზე და სიატაძის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით 20 მილის მანძილზე დაახევინა.

გოძიადანი, 6 მაისი. ჩვენმა მოწინავე ცხენოსანმა ჯარმა მთელს ფრონტზე წინ წაიწია. იაპონიის სადარაჯო რაზმებმა უბრძოლველად სამხრეთით დაიხიეს. ჩვენს მარცხენა ფრთეს ხუნხუზებთან მუდამ ბრძოლა აქვს. სამხრეთის ჯარმა გზები გააშრო.

ტოკიო, 7 მაისი. მთავარ სადგომიდან იუწყებიან, რუსის სამმა კოლონამ 5 მაისს ჩრდილოეთისაკენ წაიწია. რკინის გზის მიდამოებში იაპონელები შეებრძოლნენ რუსებს და ჩრდილოეთისკენ დაახევინეს. ამავე დროს რუსის 500 ცხენოსანმა იერიში მიიტანა კანპინთან სავადმყოფოზე, ლიაოხეს მარჯვენა ნაპირზე, მაგრამ იაპონიის არტილერიამ და ქვეითმა ჯარმა გაჰფანტა.

პარიზი, 7 მაისი. „ნიუ-იორკ ჰერალდი“ ამბობს, იაპონელები რუსის ესკადრას ვლადივოსტოკამდე გზას გაუხსნიან, რომ შემდეგში ისევე მოექცნენ, როგორც პორტ-არტურში მოექცნენო.

ჰონკონგი, 7 მაისი. წმ. იოანეს კუნძულთან მრავალი ჩინური ნავი სდგას, ჰფიქრობენ, მათ უნდათ რუსის ესკადრასთან დამოკიდებულება იქონიონო.

ტოკიო, 7 მაისი. რუსების ცნობას, ვითომც იაპონიას განეზრახოს კორეის იმპერატორი იაპონიაში გადაიყვანონო, იაპონელები უარყოფენ, ამგვარი განზრახვა არა გვაქვსო.

8 მაისი.

ტოკიო, 7 მაისი. რუსების იერიშები, რომელიც მათ ერთ დროს მიიტანეს აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და დასავლეთით, ნიანჩენძიდან და ჩრდილოეთ კაიუანიდან, იაპონელებმა ყველგან მოიგერიეს. მოიგერიეს აგრეთვე 5 მაისს

ფაკუმინზე მიტანილი იერიში. ფაკუმინიდან ჩრდილოეთ-დასავლეთით ზარბაზნების საშინელი სროლა ატყდა.

პეტერბურგი, 8 მაისი. საზღვაო უწყებისადმი გამოცემულ უმაღლესის ბრძანებით, მეორე რანგის კაპიტანი ნიკოლოზ ლავრენტის ძე კლადო 2 მაისიდან დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან.

მოსკოვი, 7 მაისი. იაპონიაში არსებულ რუსეთის სასულიერო მისსიის უფროსმა ეპისკოპოსმა ნიკოლოოზმა დაჰბეჭდა და გამოაქვეყნა მოწოდება და სთხოვს ყველას, ვინც კი თანაუგრძნობს იაპონიაში მყოფ ტყვე-რუსებს, რიცხვით 73,844 კაცს, დახმარება აღმოუჩინონ და წიგნები გაუგზავნონ.

ჩიფუ, 9 მაისი (რეიტერი). პორტ-არტურიდან მოსულნი იუწყებიან, 7 მაისს გემ „ყაზანზე" ავიდა ასი შეიარაღებული კაცი, რომელთაც ტოკიოდან დეპეშით ბრძანება მოუვიდათ, დაიჭირეთ და წამოიყვანეთ გემი, როგორც სამხედრო დავლა, რადგან იგი ალყის დროს საავადმყოფო გემად იყოო.—რუსი დაჭრილები ხვალ წამოვლენ პორტ-არტურიდან. ბალაშოვი წავა ათის დღის შემდეგ. რუს დაჭრილთა შემდეგი ჯგუფი, რომელიც ჩიფუდან უნდა წავიდეს, შესდგება სულით-ავადმყოფ ჯარის-კაცთა და მდაბიო მეზღვაურთაგან, რომელნიც საშინელ ბრძოლის დროს ჭკუაზე შესცდნენ. ესენი პირდაპირ ადესას წავლენ საგანგებო გემით.

კიახტა, 9 მაისი. პრუსსიის პრინცი ფრიდრიხ-ლეოპოლდი გუშინ ურგიდან კიახტას გაემართა და იქიდან რუსეთის მომქმედ ლაშქარში მიდის.

ტოკიო, 9 მაისი. (რეიტერი). იუწყებიან, იაპონელებმა დაიჭირეს ჩინელთა ნავი, რომელზედაც რუსი აფიცრები იყვნენო. ჰგონებენ, ესენი ვლადივოსტოკიდან წამოსული აფიცრები უნდა იყვნენ, დასაზვერავად გამოსულნიო.

9 მაისი

იაპონელების უმთავრესი ბანაკი, 7 მაისი. რუსეთის ფრონტს რკინის გზიდან დასავლეთით 8 მილი უჭირავს. გენერალი მიშჩენკოს ცხენოსანი ჯარი მარჯვენა ნაპირზე სდგას. მარცხენა არმია, რომელსაც გენერალი კუროპატკინი უფროსობს, ხუთ კორპუსიდან შესდგება. გირინის ჩრდილოეთით გორაკები ძლიერ გამაგრებულია. უკანასკნელ ხანებში მხოლოდ პატარ-პატარა შეტაკებანი ხდებოდა. რუსებს მოემატათ მე-4 არმიის კორპუსი. ტელინის რკინის გზაზე მატარებლების მიმოსვლა ეხლახანს დაიწყო. იმის იქით ხიდი და გზა გაფუჭებულია.

პარიზი, 9 მაისი. ჰონკონგში მოსულ გემს „შანგში"-ს 7 მაისს უნახავს რუსის 4 სატრანსპორტო გემი, რომელნიც ბაშის სრუტედან სამხრეთისკენ მიდიოდნენ. გემებს აქვთ უმავთულო ტელეგრაფის აპარატები. „ტაიმს"-ის პარიზელი კორესპონდენტი ამბობს, რუსეთის ცნობებიდანა სჩანს, რომ სანახშირე გემები როჟესტვენსკის ესკადრას კუნძულ ბაბუან კლაძოსთან შეუერთდებიანო.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ლინევიჩისა, 8 მაისის თარიღით: „5 მაისს რკინის გზის აღმოსავლეთით ჩვენმა ერთმა ცხენოსანმა რაზმმა მიაღწია სოფელს შახეძს, სადაც მას დაუხვდა მტრის დიდი ჯარი და იძულებული გახდა უკან დაეხია. მანდარინის გზაზე ჩვენი ორი რაზმი, ერთი მათგანი პოლკოვნიკ თავ. ტრუბეცკოის უფროსობით, შეხვდა მტრის ცხენოსანს და ქვეითა ჯარის ნაწილს, განდევნა დაჭერილ ადგილებიდან და დაიჭირა მდინარე კაოხესა და ხანდახეს ველი. გენერალ მარტინოვის რაზმმა ტაულიდან მტრის მოწინავე ცხენოსანს რაზმს უკან დაახევინა".

ლონდონი, 9 მაისი. კარდიფის ნახშირით დატვირთული ბელგიის გემი „ლილი", ექვსის თვის მოგზაურობის შემდეგ, 7 მაისს ვლადივოსტოკში მოვიდა.

საიგონი, 9 მაისი. ადმირალ ჟონკიერს მიანდეს ანნამას სანაპიროების დათვალიერება, იმის გამოსაძებლად—1 მაისიდან ხომ არ მობრუნებულან მეომარ სახელმწიფოთა გემები საფრანგეთის წყლებშიო. ადმირალმა დაათვალიერა და დარწმუნდა, რომ მსგავსი არა ყოფილა-რა.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4-ე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

პორტ-არტური წინად და ეხლა. „რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტი ჩერნიხოვსკი შანხაიდან დეპეშით იუწყება: იაპონელებმა პორტ-არტური წინანდელზე უარესად გაამაგრეს და ტიკინად აქციეს: მშვენივრად მორთეს, გაასუფთავეს, ქუჩები გაწმინდეს, გაალამაზეს; ფორტებზე ახალი ზარბაზნები დააწყეს. ნავთსადგური იაპონელ მეზღვაურებითაა სავსე. ყველგან მუშაობაა გახურებული. ამ დღეებში საზღვაო საქმის მცოდნე ინგლისელი მოვიდა, ჩაძირული გემები დაათვალიერა და იაპონიაში წავიდა. თავის გამოკვლევა ჯერ არავისთვის უთქვამს. პორტ-არტურიდან მოსული რუსები ამბობენ, რომ ადმირალ ალექსეევის დროინდელი პორტ-არტური ძალიან ცოტათი-ღა ჰგავს ეხლანდელ პორტ-არტურსაო. (რ. ს.)

ადმ. როჟესტვენსკის ავადმყოფობა. პეტერბურგში ხმა დადის, ადმ. როჟესტვენსკი ნერვებით გახდა ავად და თხოულობს, რუსეთში დაბრუნების ნება მომეციო. როჟესტვენსკის გამუდმებით გული ერევა და ეს ავადმყოფობა დღე და ღამ მოსვენებას არ აძლევს. ამბობენ, როჟესტვენსკის მაგიერად ვიცე-ადმირალს ბირილიოვს დანიშნავენო. ამჟამად ბირილიოვი მეოთხე ესკადრას ამზადებს და ორიოდე თვის შემდეგ შორეულ აღმოსავლეთისკენ გაემგზავრება (რ. ს.).

მომავალი ბრძოლა ზღვაზე. „დეილ ტელეგრაფ"-ი სწერს: ადმირალ ტოგოს ძლიერ მძიმე და რთული საქმე აქვს მინდობილი. ტოგომ, ჯერ ერთი, ადმირალი როჟესტვენსკი უნდა დაამარცხოს და, მეორე,—პასუხი გასცეს ბალტიის მეოთხე ესკადრას, რომელიც ამჟამად ბრძოლის ველზე წასასვლელად ემზადება.

გაზეთის აზრით როჟესტვენსკის ვლადივოსტოკისკენ გაპარვა კი, არ უნდა, არამედ ტოგოსთან შებრძოლება და მისი განადგურება. სხვა გაზეთებისა და თვითონ იაპონელების აზრით კი როჟესტვენსკი ტოგოსთან ბრძოლას ერიდება და ვლადივოსტოკისკენ გაპარვას აპირობსო (რ. ს.).

კრეისერი „დიანა" ამჟამად იარაღ-აყრილია და საფრანგეთის ნავთსადგურ საიგონში დგას. კრეისერის შეკეთების შემდეგ გემის უფროსმა ნავთ-სადგურის უფროსს სთხოვა, ზღვაში გავალ და ვცდი, კარგად არის შეკეთებული კრეისერი თუ არაო. უფროსმა ნება მისცა. „დიანა" ზღვაში გავიდა და აღარ ბრუნდებოდა. ნაპირიდან დაემუქრნენ, თუ არ დაბრუნდი, ზარბაზანს დაგიშენთო. „დიანა" დაბრუნდა. ამის შემდეგ კრეისერიდან ზოგიერთი ისეთი მანქანა გადმოიღეს, რომ უამისოდ კრეისერს მოძრაობა აღარ შეუძლიან, როჟესტვენსკი საიგონს რომ მოუახლოვდა, კრეისერმა ხელმეორედ დააპირა გაპარვა, მაგრამ ვერ მოახერხა (რ. ვ.).

ომში წასვლის ასაცდენი ხერხი. ამ დღეებში მეზღვაურმა ნელუბოვმა პეტერბურგში ქუჩაზე მიმავალ დედაკაცს უმიზეზოდ სცემა. საქმე გამოიძიეს და აღმოჩნდა, რომ ნელუბოვი ომში უნდა წასულიყო, მაგრამ რადგან წასვლა არ უნდოდა, მოიგონა, ვცემ ვისმე, დამაპატიმრებენ და ბრძოლაში სიკვდილი თავიდან ამცდებაო. ამის გამო ვიცე-ადმირალმა აველანმა ნელუბოვი 30 დღით დააპატიმრა, ომში გაგზავნა და ბრძანებაც გასცა, ნელუბოვი სახიფათო ადგილზე დააყენეთო.

ახალი დანიშნულება. ამბობენ ამ ცოტა ხანში ვიცე-ადმირალს ბირილიოვს დიდ ოკეანეს ფლოტის უფროსად დანიშნავენო. ბირილიოვის ადგილას კი ადმირალი სკრიდლოვი დაიჭერს (რ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

ქუთაისი. 8 მაისი. ქუთათური ვაჭრები გოკიელოვი, ჰეიშვილი და ბახტაძე გუშინ წამოვიდნენ ტფილისში, რათა წარუდგნენ ნამესტნიკს და სთხოვონ აპატიონ ის ჯარიმები, რომელიც გენერალ-გუბერნატორმა განუწესა თითოეულ ვაჭარს, 30 აპრილს ვაჭრობის შეწყვეტისათვის. თითო მათგანი დაჯარიმებულია ხუთი თუმნით.

თავადთა დადეშქელიანისა და ახვლედიანის დაპატიმრებისა გამო აჯანყებულ სვანთა დასამშვიდებლად გუშინ ლეჩხუმში წავიდა 40 კაზაკი.

ლორთქიფანიძის მაგიერად, რომელმაც საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების თავმჯდომარეობაზე უარი განაცხადა, ერთხმად არჩეულ იქმნა ანდრია ერისთავი. საბჭოს წევრებად აირჩიეს: სიმონ ამირეჯიბი და იაკობ ალიბეგოვი. სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: სილოვან ხუნდაძე, სიმონ ქვარიანი და დიდიმ ჩიკვაიძე, ხოლო კანდიდატებად—ვარლამ ბურჯანაძე და დავით ნაზაროვი.

ახალი ამბავი

✦ გუშინწინ ქ. ტფილისში რიყის ქუჩაზე **მოჰკლეს უბნის ზედამხედველი რაკიტინი.** მკვლელი გაიქცა.

✦ წარსულ კვირას გუმბრში **ხანჯლით აჰკუწეს ერთი გოროდოვოი.** მკვლელი გაიქცა.

✦ რადგანაც აფთიაქის პატრონები და ფარმაცევტები ვერ მორიგდნენ, ყველა **აფთიაქის ფარმაცევტები გაიფიცნენ.**

✦ გუშინ, 10 მაისს, ნაშუადღევის მეორე საათზე, ტფილისში, მეცხრე საპოლიციო ნაწილისბოქაულის თანაშემწემ, სავანელმა **დაატუსაღა ილია ნაკაშიძე.**

✦ რუსეთის გაზეთებში ნახსენები იყო, ვითომ კავკასიაში ერობის შემოღებას მაისში შეუდგებიანო. „რუს. ვედ." სიტყვით, ეს ხმა ტყუილია. **ერობის შემოღების შესახებ ლაპარაკს მხოლოდ ოქტომბერში დაიწყებენო.**

✦ გუშინწინ 9 მაისს, ქვაშვეთის ეკლესიაში, ქართველი ახალგაზდობის მეთაურობით გადახდილ იქმნა პანაშვიდი ამას წინად სვანეთში თ-ად გარდაფხაძეების-მიერ მოკლულის **შანშე გელოვანის** სულის მოსახსენებლად. ახალგაზდობის სურვილით, დადგენილ იქმნა: უღრმესი თანაგრძნობა გამოეცხადოს განსვენებულის ნათესავთ, ხოლო გულის-წყრომა შანშე გელოვანის მკვლელთ.

✦ ალექსანდროპოლიდან გვატყობინებენ, 7 მაისს, ნაშუადღევის სამ საათზე, როდესაც მაზრის უფროსის თანაშემწე, კაპიტანი პავლოვი მაზრის სამმართველოდან ქუჩასა მიდიოდა, ოთხმა შეიარაღებულმა კაცმა 15 ჯერ ესროლეს რევოლვერი. პავლოვი დაიჭრა ფეხში და ორივე ხელში და იქვე წაიქცა. იქვე მყოფმა სტრაჟნიკმა თავის მხრივ მკვლელებს სროლა დაუწყო და ერთი მათგანი დასჭრა, მაგრამ დაჭრილიც და სხვებიც იქვე ქუჩაში მიიმალნენ. ქალაქს ჯარები შემოარტყეს. ნამესტნიკის განკარგულებით დაჭრილის მოსავლელად გაგზავნა სამხედრო ექიმი მალინინი.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ **მოისმინა ინჟენერ გ. ქურდიანის მოხსენება** ქალაქის მცხოვრებთა-მიერ წყლით სარგებლობის შესახებ. ბ-ნი ქურდიანი ურჩევს გამგეობას მოწოდებანი დაარიგონ ქალაქში, რომ მცხოვრებლები წყალს გაუფთხილდნენ და ქალაქის მაღლობ ადგილებზე ონკანებიდან ღამ-ღამეც ჰყიდონ ხოლმე წყალი. ქალაქის გამგეობამ ბ-ნ ქურდიანის მოხსენება მოიწონა.

✦ ნავთლუღში, პოლიციის მეშვიდე ნაწილის ერთ დუქანში ქეიფობდნენ ნავთლუღლელები. ამ დროს გამოიარა თურმე ორმა სტრაჟნიკმა, რომლებსაც მოქეიფეებმა ძალზე სცემეს. ერთი სტრაჟნიკი საყასბოში შეიჭრა ტელეფონით სალაპარაკოდ, მაგრამ ხალხმა ტელეფონის მავთული გასწყვიტა.

✦ საქართველოს საეპარქიო სანთლის ქარხნის თანხიდან ყოფილ გამგეს საეპარქიო დედათა სასწავლებლის ქ-ნ ტრაფიმოვისთვის ექსარხოსს 30 თუმანით დახმარება აღმოუჩინოს. ა სანთლის ქარხნის გამგე თხოულობს შეატყობინონ, **რა კანონის ძალით უნდა გაიღოს ესფული სანთლის ქარხანამ.**

✦ ქალაქის გამგეობამ მოისმინა მოხსენება ქალაქის ბეითლის ბ-ნ კანცელმახერის მეხაშეების **გაფიცვის შესახებ,** რომელმაც ყასბებისა და სალახების გაფიცვაც მოჰყვებაო. გამგეობამ დაადგინა: ეთხოვოს ქალაქის ხორცის დუქნების გამგე კომისიის თავმჯდომარეს, რომ მეხაშეებისა, ყასბების და სალახებისაგან წარმოდგენილ პირობათა შემუშავება დააჩქაროს.

✦ მქვის საზოგადოების, სოფელ გორხანის მინდორში, 4 მაისს **უნახავთ მოკლული ალექსანდრე ნებიერიძე.** იქვე მოკლულია მისი ცხენი, რომლითაც ნებიერიძე სახლში ბრუნდებოდა. თავში, მხარსა და მუცელში **ხანჯლის** ექვსი ჭრილობა აქვს. განსვენებული ცნობილი იყო ქართულ მწერლობასა და თეატრის საქმეში. ერთ დროს გაზეთ „თეატრის" რედაქტორი იყო.

✦ ფინანსთა სამინისტრომ აცნობა ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსს, რომ ფინანსთა სამინისტროს გარდაცვალებულის წარმომადგენელის ტრაროვოვის ნაცვლად **გამგეობის საბჭოში წევრად დაინიშნა ბ-ნი** დიუვერე, პრივისლიანის რკინის გზიდან.

✦ პარასკევს, 6 მაისს, ქალაქის საბჭოს დარბაზში, ექიმ ავთანდილოვის თავმჯდომარეობით, **შესდგა ფარმაცევტთა კრება,** რომელსაც აფთიაქის პატრონებიც დაესწრნენ. წაკითხულ იქმნა 22 მუხლად აღნუსხული მოთხოვნილებანი ფარმაცევტებისა. მეაფთიაქენი ზოგს მოთხოვნილებაზე შეთანხმდნენ, ზოგზე ვერა და შემდეგ კრების დარბაზი დასტოვეს. ვერ შეთანხმდნენ, მაგ., იმაში, რომ ფარმაცევტთა ორი წყება იყოლიონ სამუშაოდ აფთიაქებში, აგრეთვე მორიგეობაში, თითო თვით დასვენების მიცემაში და პოლიტიკურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის დაპატიმრებულთა ისევ ძველს ადგილზევე მიღებაში. კრების მომეტებული ნაწილი იმ აზრისა იყო, რომ ეხლავე გაფიცულიყვნენ, რადგან შემდეგი მოლაპარაკება აფთიაქრებთან სახეიროს არას მოგვცემსო. ბოლოს, ექიმის ალ. ივ. ხატისოვისა და თვით თავმჯდომარის რჩევით, კრებამ დაავალა ექიმს ავთანდილოვს, მოლაპარაკება გაემართა აფთიაქრებთან. ბ-ნ ავთანდილოვს უკანასკნელი პასუხი უნდა ეცნობებინა ფარმაცევტებისათვის ორშაბათს, საღამოთი.

✦ ტფილისში ჩამოვიდა ბათუმის ქალაქის მოურავი თ-დ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი.

✦ **გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად დაინიშნა** არქიმანდრიტი გიორგი (ალადაშვილი).

✦ ჩვენ მივიღეთ **ახალი წიგნი: „რუსეთის დამყარება საქართველოში"**, წიგნის მაღაზია „ცოდნა"-ს გამოცემა, № 24. წიგნი სუფთად არის გამოცემული. შეიცავს 64 გვერდს და ღირს 20 კაპ.

✦ ბაქოში გავრცელებულა თურმე შემდეგი შინაარსის პროკლამაცია: **სომეხნო, ჩვენი ძვირფასი სამშობლოს მოქალაქენო! მოგმართავთ თქვენ და**

ფელეტონი

ქართლი

ქართლელი გლეხი, მისი უკიდურესი სიღარიბე და მიზეზები ამ სიღარიბისა. ჩინოვნიკობა, თავად-აზნაურობა, სამღვდელოება, ვაჭრები, შედეგი ამ გარემოებათა. გაზაფხული და მისი გავლენა ქართლელ გლეხებზე, გამოფხიზლება უკანასკნელისა და მისი მშვიდობიანი მოძრაობა. მრისხანე ხმა ცხოვრებისა, საგულისხმიერო აწმყოსა და მომავლისათვის. დასკვნა.

ყმობამ, გაუნათლებლობამ და სულ მცირე ადამიანურ უფლებათა უქონლობამ ქართლელი გლეხკაცობა უკიდურეს სიღარიბეში ჩააგდო. ამ ბოლო ჟამს ეს სიღარიბე იქამდე მივიდა, რომ ლუკმა-პურის მოპოება გარდიქცა მისი ზრუნვისა და მეცადინეობის თითქმის ერთად-ერთ საგნათ. გარეშე ამ საგნისა მისი ჭკუა-გონება ვეღარაფერს არჩევს, მის სულსა და გულს აღარაფერი ეპიტნავება. საქართველოს არც ერთ მხარეში არ არის ისე ცოტა სასწავლებელი, როგორც ქართლში. და ეს ცოტაც ადმინისტრაციის ძალდატანებით არის გახსნილი, ან კერძო კეთილისმყოფელთა მეცადინეობით. არის ისეთი სკოლები, რომელთა შენახვაზე გლეხკაცს არც ერთი გროში არ ეხარჯება. მუქთათ ეძლევა წერა-კითხვის ცოდნა, მაგრამ გლეხ-კაცობას მაინც გულში შერჩობილ ეკლად მიაჩნია იგი და ამ ეკლის გამოძრობას ყოველ მარჯვე შემთხვევაში გასაოცარის სიმტკიცით ცდილობს იგი. რაღა თქმა უნდა, სკოლის შესახებ გლეხის საწინააღმდეგო მოქმედებას იწვევს არა მარტო სიღარიბე. კარგად ხედავს გლეხი აწინდელი სკოლის უკუღმართობას და კარგადაც აფასებს მის სრულს უნაყოფობას; მაგრამ უმთავრესი მიზეზი სკოლის უარყოფისა მაინც სიღარიბეა. ამან შებოჭა ყოველი მაღალი სულიერი მისწრაფება ქართლელი გლეხისა, მძიმე ლოდად დააწვა მას კისერზე და თავი მიწისაკენ დაახრევინა.

ესეთი სიღარიბე ქართველი გლეხისა განსაკუთრებით საგრძნობელი გახდა ბატონყმობის გადავარდნიდან. ისეთნაირი ბუნებისაა საზოგადოდ ბიუროკრატია, რომ მის კეთილ განზრახვასაც კი უსათუოდ რაიმე ბოროტება აჰყვება უკან. ერთად-ერთი საქმე, რომელსაც ქართველი გლეხი მუყაითად ადგია, არის მიწის შემუშავება. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ეს მიწა მებატონეს დარჩა. გლეხს სუფრიდან გადაცვივნული ნამცეცები მიუყარეს და ეს უბადრუკი ნამცეცებიც კი საზიარო გაუხადეს.

ამ საზიარო ადგილ-მამულის შესახებ მთავრობამ განსაკუთრებული კანონები გამოსცა და ამ კანონების ასასრულებლად მოხელეები დანიშნა. ეს კანონები ისეთ უსამართლო ნიადაგზე არიან აღმოცენებულნი, ისეთ მიზანს ემსახურებიან, რომ მათი სინიდისიანი აღსრულებაც კი გლეხკაცის მაზარალებელი იქნებოდა. ხოლო ესეთი მაზარალებელი თვისება მათი ერთი-ორად მატულობს, უკეთუ მივიღებთ მხედველობაში ერთ გარემოებას. ჩვენში ხანდახან კანონს არა უშავს-რა, მაგრამ მათ ამსრულებელ მოხელეს ძალა და შეძლება ხელთ უპყრია—იქით უყოს თავი კანონსა, საითაც მისი სურვილია. ეს მოვლენა მთლად სახელმწიფოში ისე გავრცელებული, ფეხმოდგმული, თითქო იგი შეადგენდეს კანონთა შორის უპირველეს კანონსა. რუსის მოხელე თვითმპყრობელია. იგი თითქმის ყოველ დღე, ყოველ საქმეში არღვევს კანონსა. მორჩილებისა და მონობის სამთავროში მხოლოდ იგია თავისუფალი. გრძნობს ამას და მის თავგასულობას არა აქვს საზღვარი. იგი მუდამ მაღლიდან დასცქერის კანონსა, უყურადღებოდ სტოვებს მის აზრსა და სამსახურ-მოქმედებაში უფრო თავის საკუთარის ნება-სურვილით ხელმძღვანელობს, ვიდრე კანონითა.

თუ საზოგადოდ ესეთია ჩვენებური მოხელე, რაღა თქმა უნდა, ისეთი დაბალი ღობის შესახებ, როგორიც არის გლეხი, ერთი-ათად უფრო უარესი იქნება..

საზარელი, აუტანელი გახდა მომეტებულად ამ ბოლო დროს ქართლელი გლეხის უბადრუკი არსებობა! ამ წინაზე ერთი გლეხი კვდებოდა: სულს ებრძოდა და ის კი მხიარულად ღიღინებდა. თვალცრემლიანმა ცოლმა მწუხარებით უთხრა: რა გამღერებს, შე საცოდავო? რა გაქვს სამხიარულოვო?.. მომაკვდავმა გაიღიმა და ენა მოკიდებით ამოილუღლუღა: რას ამბობ, დედაკაცო!.. ვშორდები ამ ძაღლს წუთისოფელს, ამ ტანჯვასა და ვაებას და არ ვიმღეროვო?.. დაუფიქრდით, ჩემო ბატონო, ამ უბრალო სიტყვებს და მაშინ ცხადათ იგრძნობთ—რა საზარელი მწუხარება, ვაება და სასოწარკვეთილება იხატება მათში!..

ორმოც წელიწადზე მეტია, რაც ქართლში ბატონ-ყმობა გადავარდა. ამ ორმოცი წლის განმავლობაში ხალხი გამრავლდა. რაც მოხსენებულმა ბატონ-ყმობის გადავარდნამ დააკლო გლეხის მამულის შემცირებას, ის ამ გამრავლებამ დაასრულა. წინად თუ ერთ კომლს ათი დღის მამული ჰქონდა და ჰყოფნიდა, ამჟამად ეს ერთი კომლი ორ-სამ ოჯახად არის გასული და მოხსენებული ათი დღის მამულიც ორ-სამ ნაწილად არის გაყოფილი. როგორ უნდა ეყოს სამი დღის დაღლილი, გამოფიტული მამული ერთ კომლსა?.. ხოლო ბლომად ჩნდებიან ამ ბოლო ხანებში ისეთი გლეხებიც, რომელთაც სამი დღიური მიწაც კი სანატრელი გახდომიათ. ამასთანავე უწინ გლეხობა დიდრონ კომლებათ ცხოვრობდა: ოჯახში რამდენიმე მოწადმართე ხელი ტრიალებდა, ძმებსა, თუ მამა-შვილთ ზურგი-ზურგზე ჰქონდათ მიყუდებული და საერთო შრომით დოვლათი შეჰქონდა ოჯახში ჩვენი დროის მრავალმა მოთხოვნილებამ პირქვე დაამხო ეს ძველი პატრიარქალური ოჯახი, ხოლო მის ნაცვლად ჯერ აქამომდე არა მიუციარა მოუმზადებელ, ორ-წყალ-შუა დარჩენილ გლეხისათვის. ისიც ტორტმანობს მთვრალი კაცივით ერთ ადგილზე. შრომობს, წელებზე ფეხს იდგამს, დღე და ღამეს ასწორებს, მაგრამ სახლში ვეღარაფერი შეაქვს და თუ შეაქვს რამე, იმასაც სხვები სტაცებენ.

ამ სხვებში პირველი ადგილი უჭირავს ბიუროკრატიას. გონიერი მხვნელ-მთესველი ჯერ დასთესავს და მერმე მომკის. ჩვენი ბიუროკრატია ამისთანა კაცს არა ჰბაძავს. სახარების სიტყვებისა არ იყვეს, იგი აგროვებს სამკალსა, საცა არაფერი დაუთესია. ნაცვლად იმისა რომ დააკმაყოფილოს ხალხის მოთხოვნილებანი და შემდეგ მოსთხოვოს ხარჯი სახელმწიფო საჭიროებისათვის,—ნაცვლად ამისა, იგი იწყობს საქმეს ბოლოდან. არბევს მთელს ქვეყანასა, აწიოკებს ხელმოკლესა და ღარიბსა, ქვრივსა და ობოლს. ჰკრებავს აუარებელ ფულსა და ჰფლანგავს ამ ფულს თავის ნებისა და სურვილის დაგვარად, ისე, თითქო მას პატრონი არა ჰყავდეს, თითქო იგი შეადგენდეს მის სრულს საკუთრებასა. ჰკრეფავს, ხარჯავს და იმას კი აღარა ფიქრობს, რომ ამგვარის მოქმედებით ქვეყანას აღატაკებს, მშრომელ ხალხს ღუპავს, კერაზე წყალს უსხამს, ოჯახს უქცევს და ქონებას უნიავებს!

მოხსენებულ გზაზე მოსიარულე ბიუროკრატიის უკან მისდევენ თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და ბოლოს დაუზოგავი ყოველი მშრომელი ადამიანისა, მომეტებულად კი გლეხისა, წურბელა ვაჭრები. თავად-აზნაურთა შორის, რაღა თქმა უნდა, არიან მაღალის პატიოსნებით, ნამდვილ კაცთმოყვარეობით, განთქმულის ჭკუა-გონებით შემკული ადამიანები. მაგრამ სამწუხაროდ, ამგვარი წარმომადგენელნი თავად-აზნაურობას ძლიერ ცოტა ჰყავს შედარებით იმ დიდ უმრავლესობასთან, რომელიც სრულიად სხვა გზას ადგია. წოდებრივ გრძნობა-მისწრაფებათ ჯერ კიდევ მაგრა უდგიათ ფეხი ამ უმრავლესობის სულსა და გულში. მას სიცილად არ ეყოფა, გლეხკაცის ძმობა-ერთობაზე რომ სიტყვა ჩამოუგდო. თვით უკანასკნელი ღარიბ-ღატაკი, ჭკუაგონებით რეგვენი კუდა-აზნაურიც კი თავის შთამომავლობას დიდ მნიშვნელობას აწერს და განათლებულ, დოვლათით სავსე გლეხკაცსაც კი კეთილშობილურის სიამაყით დასცქერის მაღლიდან.

არც არის აგრე რიგად გასაკვირალი!.. სულ ორმოციოდე წელიწადია, რაც ბატონ-ყმობა გადავარდა და ამ მცირე ხნის განმავლობაში, რაღა თქმა უნდა, ადამიანის ბუნებიდან ვერ ამოიფხვრება ის, რაც მრავალ საუკუნეების ზეგავლენას შეუქმნია. ამ წოდებრივ გრძნობა-მიდრეკილებათ დაუმატეთ აწინდელი ქონებრივი, ეკონომიური ვითარებაც და მაშინ ცხადი იქნება მიზეზი იმ სავალალო ურთიერთობისა, რომელიც არსებობს ამჟამად გლეხსა და კეთილშობილთა შორის.

დიდი მამულის პატრონმა თავად-აზნაურობამ უკიდურეს გაჭირვებაში ჩააგდო გლეხი. ერთად-ერთი სამუშაო ქართლელი გლეხისა ხვნა და თესვაა მიწისა; ეს მიწა კი მას აღარ ჰყოფნის და იძულებული ხდება მიმართოს მემამულეს, რომელიც სარგებლობს მისი გაჭირებით და მამასისხლურ ღალასა სთხოვს მამულის სარგებლობისათვის. გლეხმა უნდა მოხნას მიწა, დათესოს, დაფარცხოს, მომკას, გალეწოს და მოსავლის ნახევარი მამულის პატრონს მიართვას. არის სხვანაირი წესი მამულის გაცემისა: გადაკვეთილია დღიურზე რამდენიმე კოდი მოსავლისა. არიან, სამწუხაროდ, ისეთი მამულის პატრონნი, რომელნიც ყურადღებას არ აქცევენ მოუსავლობის არავითარ გარემოებას. გვალვამ მოსპო მოსავალი, თუ სეტყვამ წაახდინა იგი, მისთვის სულ ერთია! გლეხმა თავში ქვა უნდა იცეს და, თუ ქინახულით ვერა, ფულით მაინც უნდა შეასრულოს პირობა. მოვა მოსავალი და ამ დროსაც ზარალის მეტი თითქმის არა რჩება-რა გლეხსა. უღმერთო, ოცდა ხუთ—ოცდა შვიდ გირვანქიანი ჩანახით (ნაცვლად ოც გირვანქიანისა) მიადგებიან კალოზე ხვავსა. დაუმატეთ ამას წელიწადში სამჯერ ძღვენის მიტანა, სამი—ოთხი დღე მუქთად მუშაობა მემამულის სასარგებლოდ და მაშინ ცხადი იქნება სიმძიმე იმ პირობისა, რომელზედაც მამულის პატრონს ეთანხმება გლეხი.

მაგრამ მარტო ამითი არა თავდება უბედურება გლეხისა. ამისათვის აუცილებლად საჭიროა საძოვარი, საწყლის-პირე, სარწყავი რუ, ტყე... ყოველივე ესე კი კანონს მებატონისათვის დაუსაკუთრებია. გლეხი აქაც პირობით უნდა შეეკრას მათ პატრონს... და, რაღა თქმა უნდა, ეს პირობაც მის უფლებათა სასარგებლოდ არ იქნება დადგენილი.

საჭიროა აქვე ყურადღება მივაქციოთ ერთ არა-უმნიშვნელო გარემოებასაც. დიდი სათნოიანი ბუნებით უნდა იყვეს ღვთისაგან დასაჩუქრებული მდიდარი, შემძლებელი კაცი, რომ ღარიბ გლეხ-კაცთან ჰქონდეს საქმე და ამ დროს სიმართლითა და კანონიერობით ხელმძღვანელობდეს. მომეტებულად ესეთი კაცი თავგასულია, ბატონკაცობას არის ჩვეული, ხუშტურიანია და ხშირად თავის უბრალო სურვილს, უმიზეზო ჟინიანობას უფრო მეტ ყურადღებას აქცევს, ვიდრე სხვა ადამიანის უფლებას, მის უსაჭიროეს მოთხოვნილებას. დაკმაყოფილება ესეთი თავგასული კაცისა საზოგადოთ მეტის-მეტად ძნელია, ხოლო იმისთანა ყველასგან დაბრიყვებულ ღობე დაბლისაგან, როგორიც არის გლეხი, თითქმის შეუძლებელიცა. მართალია, მამულის პატრონსა და გლეხ შუა პირობა არის დადებული, მაგრამ ყველას კარგათ მოეხსენება, რაც არის პირობა, მძლავრსა და გაჭირვებულ შორის დადებული. ეს კარგად ესმის გლეხსა, მრავალჯერ აქვს ნაწვნევი ამგვარი პირობის სიმტკიცე და ამიტომ ბატონის ყოველგვარ ჟინიანობას ყურმოჭრილ ყმასავით ემორჩილება. აქედან წარმოსდგება ის სავაგლახო მოვლენა, რომ დღევანდლამდე თითქმის ხელუხლებლად არსებობს ნეტარხსენებული ბატონყმობა ქართლის მრავალ სოფლებში.

ხელმოკლე, მცირე მამულიანი თავად-აზნაურობაც ვერ ექცევა გლეხკაცს ღვთისნიერულად. ზოგიერთ შემთხვევაში ამათგან უფრო მეტ შევიწროებას, მეტ მწუხარებას ითმენს იგი. მამა-პაპათაგან გარდმოცემულ ზნე-ჩვეულებას, სიზარმაცეს და უსწავლელობას ესენიც ისეთსავე ეკონომიურ მდგომარეობაში ჩაუყენებიათ, როგორშიაც იმყოფება გლეხი. მაგრამ უკანასკნელი მუშაობს, არ ერიდება არავითარ მოკლე ჯაფასაც კი, მაშინ როდესაც ხელმოკლე კეთილშობილი შრომას ამპარტავნულად უცქერის და საქმეს ერთგულად, მუყაითად ვერ ჰკიდებს ხელს. ამისგამო ხშირად უმთავრესი მოთხოვნილებანიც კი დაუკმაყოფილებელი რჩება, ბევრჯელ ლუკმა პურიც კი საძებარი უხდება. ეს გარემოება, რაღა თქმა უნდა, მოსვენებას უკარგავს ღატაკ კეთილშობილს და დოვლათ გამოლეულს სახლიდამ გარეთ ისტუმრებს საშოვარზედა. დაიგულებს თუ არა სადმე მამასახლისის არჩევას, ან სამხედრო ბეგარის მოსახდელ კენჭის ყრას, ესეც იმავე წამს იქა ჩნდება და ამ დროს ყოველნაირ ხრიკებსა ხმარობს, რომ გამოუცდელ, უსწავლელ გლეხს ორიოდ გროშს გამორჩეს როგორმე. ძალიან მოსწონთ სოფლის კანცელარიის მწერლად ყოფნა, პროვინციალურ დაბა-ქალაქების სასამართლოებში აბლაკატობა. ზოგიერთები ამ სასიქადულო ასპარეზზე მოქმედებით წელებზე ქონსაც იკვრენ ხოლმე. უყვართ ხატობა-დღეობებში სიარული... აქ ვისმე ჩაიგდებენ ხელში, მის ხარჯზე გამოთვრებიან, თავიანთ პაწია ჭკუა-გონებას ამ ღვინოს თან ჩაატანენ და შემდეგ სულ უბრალო მიზეზის გამო იშიშვლებენ ხმალ-ხანჯალს და დაერევიან ერთმანეთს.

შარშან „ივერია"-ში დაიბეჭდა რამდენიმე სურათი სოფლის ცხოვრებიდან. მათი ნიჭიერი ავტორი გასაოცარის სინამდვილით სწერდა იმ ამბებს, რომელნიც ხშირად ხდებიან სოფლად მამულების გამიჯვნის დროსა. გამმიჯვნელ კომი-

ბიბლიოთეკა

გთხოვთ, ღვთის გულისათვის, დამშვიდდით, გამოფხიზლდით... გაითვალისწინეთ ის მომავალი უბედურება და სისხლის ღვრა, რომელიც მოჰყვება თქვენს უადგილო საქციელს. ნუ დაეცემით ხოლმე პოლიციელებს და ჩვენი მაჰმადიანების მეთაურებს; შეიბრალეთ მოხუცებული, ქალი და ბავშვი, რომლებიც თქვენი საზიზღარი სურვილების მსხვერპლად უნდა გახდნენ. თუ თქვენ გაბედთ კიდევ რომელიმე მაჰმადიანის თავზე დაცემა, როგორც ეს ამ დღეებში ჩაიდინეთ, გეფიცებით ღმერთს, რომ სომხებს ყველას გაგწყვეტავთ. მოსპეთ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა და პოლიციას თავი გაანებეთ. ჩვენ გვჯერა, რომ თქვენში მოიპოვება ზოგიერთი კეთილ-გონიერი, რომელიც მიხვდება, თუ რას გვიბრძანებს ჩვენ ამ შემთხვევაში ჩვენი წმინდა სარწმუნოება. პროკლამაცია—ხელმოწერილია: „ბაქოს მაჰმადიანნი“ (ნოვ).

◆ ზემო-ავჭალელ გლეხთა კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა თავიანთ ზარალის გამორკვევა, უკვე დაამთავრა მუშაობა და შემდეგ ხუთ კატეგორიად დაჰყო გლეხთა ზარალი: პირველ კატეგორიას აკუთვნა ის გლეხები, რომელთაც დაჰკლებიათ ფული ქალაქის გამგეობისაგან გაუგებარ ანგარიშის მიცემის გამო. ეს ფული შეადგენს თურმე 16,000 მანათს. მეორე კატეგორიას აკუთვნა ის გლეხები, რომელთაც ქალაქის საქმეები იჯარითა აქვთ აღებული და ახლა ამ ფასად ხელს აღარ აძლევთ მუშაობა, ოსტატთა გაფიცვებისა და ფასების აწევისა გამო. ამიტომ თხოულობენ 400 მანათს კიდევ, რომ მუშაობა განაგრძონ. მესამე კატეგორიას აკუთვნეს გლეხები, რომელთაც საქონლითა ან ურმით ზიანი რამ მოუვიდათ ქალაქის საქმეებზე მუშაობის დროს. ეს ზიანი 1,800 მანათად შეაფასეს. მეოთხე კატეგორიას შეადგენენ საზოგადოდ ის გლეხები, რომელთაც ქალაქის შენობებმა, ეკლიან მავთულებმა და სხვა ამნაირმა დაბრკოლებამ ზარალი მისცა. ამ ზარალს 365 მან. აფასებენ; მეხუთე კატეგორიას აკუთვნა ის გლეხები, რომელნიც ედავებიან ქალაქს წყლისავანის ადგილს, რომელზედაც ამბობენ, ეგ ჩვენი ნადელი იყოო, გურამიშვილებისაგან მიღებული, მაგრამ მირზოევებმა მიითვისეს და ქალაქს მიჰყიდესო.

◆ კვირას, 8 მაისს, ტფილისის გუბერნიის სოფლის მასწავლებელთა კრება მოჰხდა. საგანი კრებისა იყო გამორკვევა ახლანდელ სკოლის უნუგეშო მდგომარეობისა და ღონისძიებათა გამოძებნა სკოლის საქმის ნორმალურად წასაყვანად. კრებას სოფლის მასწავლებელთა გარდა გარეშენიც დაესწრნენ. კრებაზე მხოლოდ გარეშენი ლაპარაკობდნენ, თვით მასწავლებელნი კი სდუმდნენ. აწინდელი სკოლა თავის პოლიციურ-ბიუროკრატიულ რეჟიმით არავის აკმაყოფილებს და სირცხვილია ასეთ სკოლებში სწავლების განგრძობა,—დაასკვნა კრებამ. აქ დროებით კამათი შესწყდა და თავმჯდომარემ მასწავლებელთ წინადადება მისცა, ხელი მოეწერათ იმ რეზოლუციაზე, რომელიც წინადვე იყო შემუშავებული. ზოგი მასწავლებელთაგანი ამ დროს გაიპარა. უმრავლესობამ ხელი მოაწერა. რეზოლუციის შინაარსი იყო თითქმის იგივე, რაც ტფილისის პედაგოგთა რეზოლუციისა. დამატებული იყო მხოლოდ: „ვიდრე სკოლა არ გაუმჯობესდება, ყოველ-გვარ მეცადინეობას სკოლებში ვსპობთო“. ხელის მოწერის შემდეგ ნახევარზე მეტი მასწავლებლები გაიფანტა. დანარჩენნი შეუდგნენ იმის განხილვას, დღეიდან გავიფიცოთ თუ სექტემბრიდანო. ბევრი იმ აზრისა იყო, დღეს სწავლა უკვე შეწყვეტილია და ჩვენს გაფიცვას მნიშვნელობა არ ექმნებაო, ჩვენ ამით მხოლოდ ჯამაგირს მოგვისპობენო, გავიფიცოთ სექტემბერშიო. ერთმა ორატორმა ნიჭიერად დაახასიათა დღევანდელი მასწავლებელი, როგორც მონა ბიუროკრატიისა, და დაუმატა: მე კარგს არას მოველი იმათგან, რომელნიც იძახიან, ხვალ შუადღისას გავიფიცოთ და არა დილით, რადგან დილით ჯამაგირი უნდა მივიღოთო. ბოლოს ხმის უმეტესობით გადასწყდა, მასწავლებელნი სექტემბერში გაიფიცნენ. დასასრულ, ყოველ მაზრიდან არჩეულ იქმნენ დელეგატები, რომელთაც ხელი უნდა მოაწერინონ რეზოლუციაზე იმ მასწავლებელთ, რომელნიც კრებას ვერ დაესწრნენ.

ქუთაისის ცხოვრება

საურთიერთო ბანკის საქმეები.—მისი ახალი ხელმძღვანელნი.—ბიუროკრატია სასამართლოებში დროს დაფასებას შესდგომია.—წარმომადგენლობითი კრება და ქუთათურ ინტელიგენტთა მზადება.

როგორც იქმნას, დამთავრდა აქაურ საურთიერთო ბანკის კრებები. ამ ერთის კვირის წინად კრებამ ძველი გამგეობის, რჩევის და სარევიზიო კომისიის სისხლის სამართალში მიცემა გადასწყვიტა. ეს გადაწყვეტილება საზოგადოებას ავნებსო,—ამბობდა ოთხი თვის წინად ამ ბანკის თავმჯდომარედ ახლად არჩეული სიმონ ლორთქიფანიძე,—და ამიტომ ახლა, როდესაც კრებამ მისი რჩევა არ მიიღო, თანამდებობიდან გადადგა. მას ორიოდე რჩევის წევრიც მიჰყვა და ამნაირად წევრებს ახალი ხელმძღვანელები შეექმნათ საძებრად. რამდენისამე დღის მოლაპარაკების შემდეგ, დაასახელეს კიდეც თავმჯდომარის თანამდებობაზე ანდრია ერისთავი, რომელიც დღემდის ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარედ იყო. კრებაზე ანდრია ერისთავი ერთხმად აირჩია საზოგადოებამ. რჩევისა და სარევიზიო კომისიის წევრებიც ახლად აირჩიეს კრებაზე წევრებმა.

ამრიგად, დღეიდან ამ ბანკის მეთაურნი არიან თავმჯდომარე ა. ერისთავი, დირექტორები: ნესტორ ერისთავი და გიორგი აკოფოვი, რჩევის წევრები: დ. კვირკველია, ს. ამირეჯიბი, ი. ალიბეგოვი, პ. გოკიელოვი, რ. რიყინაშვილი და კ. გოცირიძე; სარევიზიო კომისიის წევრები—დ. ჩიკვაიძე, ს. ქვარიანი და ს. ხუნდაძე და ამათი კანდიდატები: ვ. ბურჯანაძე და დ. ნაზაროვი.

ბანკის წევრები უფრო და უფრო გრძნობენ ბანკის საჭიროებას და თანდათან შეიგნეს, რომ მათი ინტერესია მისი კეთილდღეობა. ამისათვის ისინი დღეს თავს აღარ ზოგვენ და ყოველნაირათ ცდილობენ მის გამოცოცხლებას, და თუ ახლად არჩეული, ბანკის საქმეებში გამოცდილი ხელმძღვანელი,—წევრების, განსაკუთრებით ვაჭრების, ამნაირ სურვილს მხნედ წაუძღვა,—ქუთათურები თავს იხსნიან დღევანდელ გაჭირვებისაგან. დასასრულ კრებაზე მცნებათ დაუდეს ახალ გამგეობას,—ბანკის საქმეებში თანასწორის სიმკაცრით მოეკიდოთ ყველას, მაგრამ საჭიროა, თვით წევრებმა არა მარტო სიტყვით და რჩევის მიცემით, საქმითაც შეუწყონ ხელი ბანკის გაუმჯობესებას, რომელიც აუცილებლად საჭიროა ვაჭრებისთვის.

◆ ერთის კარგის საქმის შემოღება ახლანდელ სასამართლოებშიაც მოჰგონებიათ. სენატის ყურამდე მიუღწევია მოსამართლეთა იმ უკანონო მოქმედებას, რომ ისინი სასამართლოში კრებებს უწყებებში აღნიშნულ დროს არ ხსნიდნენ საქმეების გასარჩევად; რამდენსამე საათს იგვიანებდნენ ხოლმე ყოვლად უმიზეზოდ და უკანონოდ. ამით კი ისინი ძალიან ბევრ დროს აკარგვინებდნენ ყველა საქმის კაცს. დაბარებული ხარ, მაგ., დილის 9 საათზე. მიხვალ ამ დროს სასამართლოში, უნდა აიტუზო მის კარიდორში და უცადო მოსამართლის მობძანებას და მერე მის კაბინეტიდან სასამართლოს ზალაში შემოსვლას, საქმის შედგომას და შემდეგ „ოხერედს“, რომელიც ხშირად ან გადაიდება იმიტომ, რომ მოწმეები არ იქნებიან, და ან კიდევ ყველა დანიშნულ საქმეების გარჩევას მოსამართლე ვეღარ ასწრებს, ნაშუადღევის 3—4 საათზე კუჭის დაკმაყოფილების დროც მოდის, მოიძრობს ჯაჭვს და გარბის შინისაკენ, შენ კი, დრო გაქვს თუ არა მეორედ, მესამედ ან მეტჯერ მოხვიდე სასამართლოში ერთისა და იმავე საქმის გამო,—ამას ვინ დაეძებს? მართლ-მსაჯულება მსხვერპლად ხდება ჩინოვნიკის მისვლისა!..

უმართებულეს სენატს, სხვათა შორის, ამ უწესობისათვის მიუპყრია თავისი ყურადღება და დაუდგენია, რომ მომრიგებელი შუამავლები, სამოქალაქო მოსამართლეები და საოლქო სასამართლოების სამაზრო წევრები, როცა კრებას ნიშნავენ საქმის გასარჩევად, ვალდებულნი არიან, როგორც მომჩივნებს, ისე მოპასუხეებსა და მოწმეებს აღუნიშნონ უწყებებში გარკვევით დღე და საათი, როდესაც უნდა გამოცხადდენ ისინი სასამართლოში, და გააფრთხილონ ისინი კანონის ძალით, რომ უმიზეზოდ მოუსვლელობის გამო დაჯარიმებულ იქნებიან. ხოლო ცხადადვე გამოხატულ კანონის ძალით, მისულთ აქვთ უფლება, მოითხოვონ, რომ მოსამართლეებმა იმ დღეს და სწორედ იმ საათზე დაიწყონ კრება, რომელიც უწყებაში იქნება აღნიშნული.

ამისთვის უმართებულესი სენატი, აგონებს რა ამ დადგენილებას მოსამართლეებს, სთხოვს საოლქო სასამართლოების უფროსებს, თვალ-ყური მკაცრად ადევნონ სოფლებისა და დაბების სასამართლოებს.

ის.—არიძე.

გაზ. ,,მშაკი“ ,,ცნობის ფურცლის“ შესახებ *).

ღვთის შემწეობით, ,,ცნობის ფურცელმაც“, ლაპარაკი დაიწყო სომხთა პეტიციის შესახებ. სწორედ საკვირველი გამჭრიახობა გამოიჩინა!

თუ არ იცის ვინმემ, როგორ იცნობენ ერთმანეთს კავკასიაში მცხოვრები ერები, ქართულ გაზეთის წერილი კიდევ ერთხელ დაუმტკიცებს, რომ ეს ერები იმდენადვე იცნობენ ერთმანეთს, როგორც საარაკო ქონდრის კაცებს ან დევებს.

,,ცნობის ფურცლის“ მთელი წერილი სომხეთა ბურჟუაზიის საწინააღმდეგოდ მიმართულია, ვინაიდან გაზეთი დარწმუნებულია, რომ ეს პეტიცია შეუდგენია სომეხ ბურჟუაზიას.

როდესაც სომეხ ბურჟუაზიას ეხება საქმე, საპოლიტიკო ეკონომიიდან რამოდენიმე საბანო ჭეშმარიტების დასახელებით ადვილია ფონზე გასვლა, სხვადასხვა ბრძნულ და სამეცნიერო დასკვნაზე დადგომა.

აი, სწორედ ასე იქცევა ქართველ ლიბერალების გაზეთი,—ცნობის ფურცელი“.

მაგრამ, სანამ ამ დასკვნაზე ვილაპარაკებდეთ, ჯერ ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვათ თვით ბურჟუაზიის შესახებ. ეს უბედური სიტყვა—,,ბურჟუაზია“ ახლა საწინააღმდეგო გამხდარა ყველგან. ვისაც უნდა იჩინოს თავი რადიკალობით, ადვილად შეუძლია მოიხვეჭოს რადიკალის სახელი ,,ბიუროკრატიის“ ხსენებით და კიცხვითაც. ჩვენშიაც ხშირად ამავე სახელის გულისთვის სიტყვა ,,ბურჟუას“ ათამაშებენ. ადამიანი, რომელიც თვითონ თავის მიმართულებით ეკუთვნის ბურჟუაზიას, ხშირად ამ სახელს თვითონ არ ირქმევს, მხოლოდ სხვებს კი მუდამ თავზე ახვევს, ბურჟუას ეძახის..

კარგი იქმნებოდა ვიცოდეთ,—ვინა ჰყავს სახეში ,,ცნობის ფურცელს“, ვისგან შესდგება, მისის აზრით, სომხების ბურჟუაზია?

სიტყვა „ბურჟუა“ გაზეთს ესმის პირდაპირის მნიშვნელობით,—ეს არის ვაჭრების კლასი, ფულის, სიმდიდრის წარმომადგენელი. აი, ამათ ებრძვის გაზეთი, რომელიც ამბობს, სომეხ ბურჟუაზიის უმეტესობა ჩარჩებისაგან შესდგებაო. აი, ეს კლასი უნდა იყოს, გაზეთის აზრით, პეტიციის შემდგენელი და მიმღები, იმ პეტიციისა, რომელმაც ასე დააღონა ქართველი პუბლიცისტები.

„ცნობის ფურცელი“ ამხედრებულა იმნაირ საქმის გამო, რომელიც სრულებით არ გაეგება.

პეტიცია სომეხ ვაჭართა კლასის შედგენილი არ არის,—მადლობა ღმერთს,—პეტიციის შემდგენელი საზოგადოება მთვარეზე არ გროვდებოდა, არამედ იმავე ქალაქში იკრიბებოდნენ, სადაც ამ მაღალ-მაღალ აზრებს ჰქადაგებენ ქართველი პუბლიცისტები.

უბრალო გამოკითხვით შეატყობდა ადამიანი, რომ ამ კრებებში ვაჭრები მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენდნენ და რომ ეს პეტიცია შეიმუშავა პროვინციებიდან ჩამოსულმა ინტელიგენციამ. ქართველი პუბლიცისტები იმასაც ადვილად შეიტყობდნენ, რომ გლეხები და მიწის წარმომადგენლებიც კრების დროს გვერდში უსხდნენ ინტელიგენციას... „ცნობის ფურცლის“ გამოლაშქრება ქარის წისქვილებთან დონ-კიხოტის ბრძოლას წააგავს უთუოდ.

ამ გამოლაშქრებას დონ-კიხოტის ბრძოლის ხასიათი ეძლევა იმიტომ, რომ გაზეთი პეტიციის შემდგენლებს ებრძვის და სომხების ვაჭრები ჰყავს სახეში, ან, სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, მხოლოდ მდიდრები...

ჩვენ ვიცით, რომ აქ „ბურჟუა“ რომ შეიქმნეს ადამიანი, მაინცა-და-მაინც, საჭირო არ არის ან დიდი ადგილი ჰქონდეს ან ბანკის კლიტეები ეჭიროს. სიმდიდრე აქ არაფერ შუაშია. თავიდათავი საქმეა აზროვნება, მიმართულება. აქ უფულო და ფულიანი არაფრით განირჩევა ერთმანეთს,—მსოფლიო მხედველობა, აზროვნება სიტყვა ,,ბურჟუაში“ ათავსებს ინტელიგენტს, მდიდარ ვაჭარს, პატრონს და მის მოსამსახურეს, რომელიც თავის ოფლით ამდიდრებს ბატონს.

,,ცნობის ფურცელი“ გვეტყვის, რომ სწორედ ასე უყურებს სომხის ბურჟუაზიას და რომ სომხების პეტიციის შემდგენელი სომხების ინტელიგენცია სომეხ ბურჟუაზიის იდეოლოგად გამოდის.

მაგრამ ვინ არის ამ შემთხვევაში სომეხ ბურჟუაზიის მსაჯულად?—ქართველების ბურჟუაზია.

,,ცნობის ფურცელი“ ამ ბურჟუაზიის ნაყოფია, ბურჟუაზიის ერთ-ერთი ჯგუფია.

გაზეთი ,,ცნობის ფურცელი“, სომეხ ბურჟუაზიას რომ ებრძვის, თვითონ ბურჟუაზიულ პროგრამას იცავს, რომელიც შეიმუშავა ქართველმა საზოგადოებამ, იგი ავტონომიის მომხრეა, და ამ საპოლიტიკო პროგრამაზე დამდგარი სომეხ ბურჟუაზიას სწყევს, მაგრამ არა რადიკალ იდეალების გულისთვის, არამედ ისევ ისეთისავე ბურჟუაზიულ იდეალების გასაბატონებლად.

ნუ თუ „თვისთა თანა მოვიდა და თვისთა იგი არა შეიწყნარეს?“

აი, ამ პოზიციაზე დამდგარი გაზეთი „ცნობის ფურცელი“ იძულებულია ებრძოლოს ორ მხარეს ერთად,—ერთის მხრივ, სომეხ ბურჟუაზიას და, მეორეს მხრივ—რადიკალურ ელემენტებს, რომელიც ქართველ საზოგადოებაშია შემდგარი. ესენი ხომ ავტონომიის წინააღმდეგნი არიან, ვინაიდან ეს ავტონომია ბურჟუაზიულ დაწესებულებად მიაჩნიათ, რომლის საშუალებითაც უნდა გაძლიერდეს ეროვნული განცალკევება, შოვინიზმი, კლასების გაბატონება.

ხედავთ?! სხვებს „ბურჟუას“ ეძახით და აგერ სხვებიც გამოდიან და თქვენვე გეუბნებიან, რომ თქვენც ბურჟუები ხართო.

სომეხ ბურჟუაზიის აზრები თუ არ მოგწონთ, კმაყოფილნი თუ არა ხართ,—თქვენი აზრებიც სხვის თვალში უსაფუძვლო და მავნებელია, ვინაიდან თქვენი მოთხოვნილებაც ბურჟუაზიულია, მხოლოდ სხვა სახით და სხვანაირად გამოთქმული.

როგორ არ უნდა გაიცინოს ადამიანმა, როდესაც „ცნობის ფურცელში“ სომეხ ბურჟუაზიის საწინააღმდეგო წერილებს წაიკითხავს და შეიტყობს ამ გაზეთიდან, ვითომც სომხის ბურჟუაზიას ყველგან ბატონობა უნდოდეს?... და თქვენ, ბატონებო, გეძლევთ სიტყვას, რომ ქართველ ბურჟუაზიას არა აქვს და არც ექმნება შემდეგში სხვებზე გაბატონების სურვილი? სად ნახეთ უმანკო ბატკნებისაგან შემდგარი ბურჟუაზია? ან ეგება სთქვათ, რომ ქართველთა ბურჟუაზიის პროგრამაში დემოკრატიული მოთხოვნილებაც არისო, მაგრამ ამაზე გიპასუხებთ, რომ ამნაირ მოთხოვნილებას თვით სომხების პეტიციაც მოკლებული არ არის.

აქ დიდი განსხვავება არ არის.

ახლა ისეთი დრო დადგა, რომ ყველა ყურადღებით ექცევა დემონსტრაციულ მოთხოვნილებას და საჭიროდ მიაჩნია ზოგიერთ დემონსტრაციულ უფლების მიცემა,—პრაქტიკულ მიზნით მაინც.

თვით ,,ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილ შენიშვნების შესახებ ორიოდე სიტყვაც საკმარისია.

რა საჭიროა მუდამ ენერგიის დაკარგვა, შუბების მტვრევა, ამდენი პოლემიკური სიყოჩაღე, რომელიც ისევ სხვა უკეთეს საქმეს უნდა მოანდომოს ადამიანმა?

გულუბრყვილო უნდა იყოს ადამიანი, რომ ამ პეტიციებს, პროგრამებსა და სხვა, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა მიანიჭოს,—ყოველ შემთხვევაში ქართველ პუბლიცისტებს ცხოვრებაში მეტი გამოცდილება უნდა ჰქონოდათ და უნდა სცოდნოდათ, რომ შეიძლება მეტის სიდინჯითა და შეკავებით სხვადასხვა მოვლენათა გარკვევა, უნდა სცოდნოდათ, რომ საერთო შეხედულებით ყოველ ეროვნებას თვით-გამორკვევის ფართო უფლება ეძლევა ამჟამად.

პატივი ეცით ამ თვითგამორკვევას და, რომელმაც ეროვნებამ ბურჟუაზიული წყობილება თუ ისურვა თავისთვის, ნება მიეცით სწორ გზას მიაგნოს შემდეგში თვითონვე, თავისი ძალ-ღონით.

თქვენი ყვირილით საქმეს საფუძვლიანად ვერაფერს ვერ შემატებთ, გაფუჭებით კი ბევრს რასმე გააფუჭებთ და უმთავრესად კი იმ ძმობა სოლიდარობას, რომელიც თქვენ თვითონ მიგაჩნიათ საჭიროდ.

თქვენვე აცხადებთ,—ახლანდელ დროში ბურჟუაზიული წყობილება ვერ იხეირებსო, ვინაიდან მშრომელ ხალხის ელემენტები თანდათან ძლიერდებაო... კარგი, მაგრამ მაშინ თქვენი შიშიც უსაფუძვლო გამოდის! ვაის ძახილისა და საკინძის ჩამოხევის მაგივრად ისევე სჯობია ისურვოთ, რომ ყველას მოგვეცეს ასპარეზი, სადაც სხვადასხვა საზოგადო საკითხის გადასაწყვეტად თავისუფლად შეხვდება ერთმანეთს სხვადასხვა მიმართულება.

იყოს ასპარეზი,—და მაშინ ხალხი თვითონ გამოსთქვამს თავის შეხედულებას.

გამოსთქვამს მკაფიოდ, უშუამავლოდ და უვექილოდ...

მანამდის კი—ღირს განა ერთმანეთში შუბების მტვრევა?

(„მშაკ“ № 88) ლ.

რუსეთი

მკითხველს ეხსომება, რომ ამას წინად ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით შესდგა კომისია, რომელსაც მუშათა შესახებ კანონ-პროექტები უნდა შეედგინა. ამ კომისიამ კანონ-პროექტები შეადგინა და ნევის ქარხნის მუშებს წარუდგინა,—რა აზრისა ხართ ამაზე, გააუმჯობესებს თუ არა ეს კანონი თქვენს ცხოვრებასაო. მუშებმა ამ შეკითხვაზე **შემდეგი პასუხი მისცეს**: ჩვენი ნევის გემთა ამშენებელ ქარხნის მუშებმა მივიღეთ ახალი კანონპროექტი, გადავათვალიერეთ და ვაცხადებთ, რომ ჩვენ ნება არა გვაქვს გამოვთქვათ ჩვენი აზრი იმ კანონ-პროექტების შესახებ, რომელიც მთელ, რუსეთის მუშებს შეეხება, კომისიამ კი ეს პროექტი მარტო ჩვენ, ნევის ქარხნის მუშებს, გაგვაცნო. გარდა ამისა, ჩვენის აზრით, ზემოხსენებული კანონპროექტები მთელი რუსეთის მუშებისათვისაც რომ მიეცათ გასასინჯად, სულ ერთია, არაფერი გამოვიდოდა, რადგან იქ, სადაც არ არის თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებებისა, იქ, სადაც ხელშეუხებელი არ არის დეპუტატი და პიროვნება—მუშების შრომას არა თუ არავითარი ფასი არ ექმნებოდა, არამედ ზარალიც: მუშებს დააპატიმრებდნენ, სცემდნენ და სწორედ ისე მოექცეოდნენ როგორც შიდლოვსკის კომისიის დროს მოიცნენ ამის გამო ჩვენ კოკოვცევის კომისიის მიერ შემუშავებულ კანონ-პროექტების განხილვაზე მტკიცე უარს ვაცხადებთ და ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, რომ სრულიად ვემხრობით იმ მოთხოვნილებას, რომელიც ჩვენმა წარმომადგენლებმა შიდლოვსკის წარუდგინეს. ამასთან მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ სანამ პირდაპირ, ყოველთაო, თანასწორ და საიდუმლო კენჭისყრაზე დამყარებულნი, დამფუძნებელი კრება არ შესდგება, მუშების სასარგებლოდ ეხლანდელი მთავრობა ვერავითარ სახეირო რეფორმას ვერ მოახდენს (რ. ვ.).

◆ ფინურ გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი **განცხადება ჰელსინგფორსის პოლიციისა**: „ვინც პოლიციას ხელს შეუწყობს და აღმოაჩენინებს იმ პირს, რომელმაც ჰელსინგფორსიდან ვიბორგში პოლიციის კომისარს დინამიტით გატენილი ყუთი გაუგზავნა, იმას საპოლიციო უწყება 2,000 მარკას აჩუქებს“. „ჩ. პ.“. ამ ამბის გამო შენიშნავს: ნეტა ვიცოდეთ, რა არის პოლიციის პირდაპირი მოვალეობა,—პრემიების დანიშნა და ამით თავის სრულის უძლურების გამოცხადება, თუ დამნაშავეთა აღმოჩენა? (ნ.).

◆ ლოძელმა მუშებმა პროკლამაცია გამოსცეს და ყველა მუშებს სთხოვენ, მუშაობა დაიწყეთ, ქუჩებში ნუ გადიხართ და ტყუვილ—უბრალოდ თავს ნუ იღუპავთო. ხომ ხედავთ, რომ **ჩვენ ასობით ვიხოცებით, რუსეთის სხვა მუშები კი ხელსაც არ ანძრევენო (რ.).**

სიას თან დასდევს მთელი ხროვა ხელმოკლე თავად-აზნაურებისა. ესენი ცდილობენ რამდენსამე მანათს და, თუ ფულს ვერა, სადილს მაინც გამორჩნენ გლეხსა. უკანასკნელის მამულს ესენი თავისად ჩემულობენ, მის პატრონს დავას უცხადებენ და ემუქრებიან სასამართლოებში საქმესაჩივრის გაჭიანურებას. გლეხმა იცის მიზეზი ამათი მუცლის გვრემისა; აძლევს ორიოდ მანათს და თავიდან იშორებს სილარიბისაგან გაოგნებულ რაინდებს. ყოველ-დღიური ცხოვრება ქართლელი გლეხისა სავსეა ამ ვაჟბატონების უსამართლო, უნამუსო საქციელითა, მხეცურის ძალმომრეობითა. და ისიც იტანს ყოველსავე ამ შეურაცხყოფას იობის მსგავსის მოთმინებითა, ითმენს თავჩაღუნული, ენა-ჩავარდნილი, ხმაგაკმენდილი...

არა მგონია, რომ საქართველოს სხვა რომელსამე მხარეში მოიპოვებოდეს ისეთი დაჩაგრული გლეხ-კაცობა, როგორიც ქართლშია. ფეოდალობა, მძლავრი თავად-აზნაურობა არც სადმე ყოფილა ისე აღორძინებული, როგორც ჩვენში. წარსულმა დასჩაგრა ქართლელი გლეხის კაცად-კაცური პიროვნება, ღირსება. აწმყომ გამოუფიტა დოვლათი. ამნაირად დავრდომილი იგი ითმენს ყველაფერს.

მაგრამ, საბედნიეროდ, მასში არ მომკვდარა ცხოველი სული ადამიანისა: იგი გრძნობს, ფიქრობს, აზროვნებს და სევდა-ნაღველს, ვარამსა და დარდს იხვევს გულში. ასეთ შეგუებულ მოთმინებას დროზე უნდა შესაფერი წამალი, დროზე თორემ შეიძლება ისეთ დროს გადმოხეთქოს ამ უკმაყოფილებისა და შურისძიების ნიაღვარმა, როდესაც წამლის დადება გვიან-ღა იქნება.

თავად-აზნაურობას უკან მისდევს სამღვდელოება... სამღვდელოებაც წუთი-სოფლის ფერხულში ჩაება და მგლებს ამოუდგა მხარში...

ქართველი გლეხის გაღატაკებაში, მისი დოვლათის გაქარწყლებაში დიდ მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ვაჭრებიცა. ეს ვაჭრები მომეტებულად სომხები და ურიები არიან. აქაური ვაჭარი წვრილი ჩარჩია, ხელ-მოკლე მედუქნეა. ამ დროს იგი გამოუცდელ მონადირესა ჰგავს: შორს წასვლას ვერ ჰბედავს, დიდ ნადირებს ერიდება და მხოლოდ ახლო-მახლო წვრილ-ფეხ ცხოველებზე ნადირობს. ამ ხანში მისი კეთილშობილური ვარჯიშობის საგანს უმეტესად გლეხი შეადგენს. ამას ატყუებს, ჰყვლეფავს, სჭამს. მთელი ქართლის გლეხობა ამ საზიზღარ წურბელებს ჰყავთ ამჟამად ხელში ჩაგდებული. არა მგონია, იყვეს სადმე ჩვენში, ისეთი სოფელი, რომელსაც კი ორმოც-სამოცი თუმანი მაინც არ ემართოს ამ სათოკე ავაზაკებისა. მამა-სისხლურ სარგებელში მიაქვთ ამათ ყოველ-წლივ სხვადასხვა გვარი მოსავლის დიდი ნაწილი. გაუმაძღარ, შეუბრალებელ სვავებათ გახდომიან იგინი ქართლელი გლეხის შრომას და არა თუ ამ შრომის ნაყოფს იტაცებენ, არამედ თვით ამ შრომის წყაროს, გლეხის ჯანსა და ღონეს, ხარბად სწოვენ, არღვევენ, ანადგურებენ

წუთისოფლის უსამართლოებამ წელში მოჰკაკვა ქართლელი გლეხი, მაგრამ ამ წელის ძვლები როდი აქვს მას დანტვრეული. თუ სანუგეშო სიომ დაჰბერა, ის ადვილად შეიძლებს წელში გასწორებას, ჭაობიდამ გამოსვლას და ბრწყინვალე მომავლისაკენ ცქერასა.

ამ სანუგეშო სიომ, როგორც ვიცით, უკვე დაჰბერა სუნთქვა შეხუთულ სახელმწიფოსა. მოჰგლიჯა დიდებული მანტია ამაყად აწეული მხრებიდან და საქვეყნოდ გამოაშკარავა, რაც იმალებოდა ამ მანტიის ქვეშა. ქარიშხალს თან მისდევდა სიოც, სიო ნუგეშისა და სასოებისა. ამან გაჰფანტა ცაზე შავი ღრუბლები. მომავლის მზემ ამოაშუქა და თვისი მწყინვალე სხივები უხვად გაჰფანტა დედა-მიწის ზურგზედა, მოეფინა კაცთა ცხოვრებას სითბო-სინათლის მადლი და უცებ შუა ზამთარში, თოვლსა და ყინულებს შორის დადგა მშვენიერი გაზაფხული, აჰყვავდა ადამიანის სული, ათასფერად გადიშალნენ მაღალი გრძნობანი, გაისმა დიდებული ხმა თავისუფლებისა, ძმობისა და ერთობისა. ამ სანეტარო ხმამ ჩვენამდისინაც მოაღწია; მას ყური მოჰკრა ქართლელმა გლეხმაც. მაშინათვე წამოდგა ფეხზე, გასწორდა წელში: დადგა ჭაობის ნაპირას და ამაყად შესძახა მთასა და ბარსა: მეც ადამიანი ვარო!.. ამ ამბავს არავინ არ მოელოდა ქართლელი გლეხისაგან, ამიტომ ყველამ დიდათ იუცხოვა!.. ზოგს არც კი სჯეროდა. მაგრამ აგერ გამოჩნდნენ „ღვთის კაცებიც“... გაისმა ქადაგება ძმობისა და ერთობისა. „ერთობამ“ შეარყია მთელი ცხოვრება ხალხისა; მან შეაერთა სხვადასხვა სოფელი, სხვადასხვა საზოგადოებანი... დაიძრა აჰეირთებული ხალხი და იწყო სიარული ერთი ადგილიდან მეორე ადგილას. ბევრგან რიცხვი ამ გვარად თავმოყრილი ხალხისა ორ-სამ ათასამდე აღიოდა, და ამოდენა მრისხანე ძალის თითქმის არსად არ ჩაუდენია რაიმე უსამართლობა, არავიზე არ უხმარია ძალმომრეობა. არ ინდობდა მხოლოდ სკოლასა და კანცელარიის! ხალხის გამჭრიახმა გონებამ ერთ ტაფაში მოაქცია ჩვენებური კანონი და სასწავლებელი და ორივენი მკაცრად შეაჩვენა, როგორც წყარონი უსამართლოებისა და ჭკუა-გონების დაბრმავებისა. სტოვებდა უყურადღებოდ ღარიბ თავად-აზნაურობას და მხოლოდ შეძლებულ მამულის პატრონებს და სამღვდელოებას უდგენდა თავის მოთხოვნილებათ. ამ უკანასკნელთ სხვადასხვა-ნაირად შეხედეს გლეხთა მოძრაობას. ბევრი შეშინდა, ანება თავი სახლ-კარსა და ქალაქ ადგილებს მიაშურა; სხვებიც, მართალია, შეშინდნენ, მაგრამ ჭკუის დავთრები მაინც არ დაუკარგავთ: ესენი დარჩნენ სახლში და მათთან მისულ გლეხკაცობას დაუხვდნენ ზდილობიანი სიტყვა-პასუხით და გონივრულის დათმობითა. გამოჩნდნენ ისეთი მემამულენიც, რომელნიც მეგობრულად მიეგებნენ გლეხთა მოძრაობას, ჩადგნენ მასში და ხალხმაც ნდობითა და პატივისცემით მიიღო იგინი.

სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი მოქმედება ზოგიერთა გლეხისჭამია კუდა-აზნაურებმა ხერხად გამოიყენეს: მგლები ცხვრის ტყავში გაეხვივნენ და გულუბრყვილო, უბოროტო გლეხის შურისძიება მიაძინეს. გუშინდელი ავაზაკი დღეს წითელი დროშით ეგებებოდა ხალხსა და ეს საცოდავიც ყველაფერს ივიწყებდა: მეგობრულად ართმევდა იმ ხელსა, რომლისგანაც გვერდები ჰქონდა დამტვრეული. სამწუხაროდ, არა მხოლოდ ესეთ კერძო შემთხვევაში სტყუვდებოდა ქართველი გლეხი, არამედ, ვგონებ, რომ საერთო, საზოგადო თავის მოქმედებაშიაც მწარედ მოტყუებული დარჩება იგი. საერთო მღელვარების დროს მან ზოგიერთა ძვირფასი უფლებანი შეიძინა, მაგრამ, ეჭვი არ უნდა, ამ უფლებათ ისევე მალე დაჰკარგავს, როგორის სისწრაფითაც შეიძინა იგინი. კაცი რომ რაიმე უფლებით შეიმოსოს, ამისათვის მარტო ამ უფლების შეძენა არ კმარა. უნდა კიდეც მტკიცედ შეიგნოს, შეითვისოს და აღარავის დაუთმოს იგი. ეს კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც გლეხი იქნება სწავლა-განათლებით გამოფხიზლებული, პოლიტიკურად მომზადებული, საბრძოლველად დამკლავებული. ქართლელ გლეხს კი, საუბედუროდ, ასეთი ღირსებები ნაკლებად აბადია.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ მაინც დიდი ყურადღების ღირსია ის საერთო მღელვარება, რომელმაც გამოაფხიზლა და ფეხზე დააყენა მთელი ქართლის გლეხობა. ამ მღელვარებაში გაისმა მრისხანე, გამაფხიზლებელი ხმა ცხოვრებისა! ამ ხმას დიდის გულმოდგინებით უნდა დაუფიქრდეს აწმყო, რადგან იგი მოციქულია მომავლისა. მისგან მოხდენილი შთაბეჭდილებანი არას დროს არ წაიშლებიან ქართლელი გლეხის გონებიდან: იგინი გადავლენ მამიდან შვილზე, შვილიდან შვილებზე და გარდაიქცევა პირველ საგულისხმიერო გაკვეთილად ხალხისათვის. ამ პირველ გაკვეთილს, ეჭვი არ უნდა, მოჰყვება მეორე, მესამე გაკვეთილები და ამათ გავლენით ნელნელა მომზადდება ქართველი გლეხი. მაშინ წინ წამოდგება შეგნებული ძალა, რომელიც მრისხანებით მოითხოვს თავის საჭიროებათა დაკმაყოფილებას.

ქართლელი.

---

*) ჩვენ საზოგადოდ ვბეჭდავთ სომხურ წერილებს, რომლებიც ქართველ მკითხველისთვის, ასე თუ ისე, საინტერესოდ მიგვაჩნია. ამას წინად დავბეჭდეთ „მშაკის“ წერილი, რომელშიაც ავტორი ჩვენ გვეკამათებოდა, ხოლო დღეს ვბეჭდავთ იმავე გაზეთის მეორე წერილს, რომელიც „ცნობის ფურცელს“ შეეხება. რედ.

✦ სარატოვის საგუბერნიო ერობამ დაადგინა: ვიშუამდგომლოთ, რომ: 1, დაუყოვნებლი განახლებულ იქმნას „ნაშა ჟიზნ-“ისა და „ნაში დნი“-ს გამოცემა; 2 ამ დღეებში ადმინისტრაციის-მიერ გადასახლებული საეროზო ექიმი ჩენიკაევი დარუნებულ იქმნას და 3. ვუჩივლოთ პოლიციას, რომელმაც 18 მარტს უდანაშაულო ხალხს სცემა.

გუბერნატორმა ეს დადგენილებანი წაშალა და მინისტრს არ გაუგზავნა. (რ. ვ.).

✦ ვილნოს მესამე კორპუსის უფროსმა გენ. კამენსკიმ 30 დღით დააპატიმრა შტაბს-კაპიტანი ბოგანი, რომელმაც მინსკის ქალაქის საბჭოს დარბაზში ხალხის წინაშე პოლიტიკური სიტყვა წარმოსთქვა და **ხალხს არეულობისაკენ იწვევდა** (რ. ვ.).

✦ ამ დღეებში სახელმწიფო საბჭომ მოისმინა მოხსენება შინაგან საქმეთა მინისტრისა, რომელიც თხოულობდა, **გაზეთების დაკეტვის უფლება მარტო მე მქონდესო**. სახელმწიფო საბჭო ამ თხოვნას პრინციპიალურად დაეთანხმა და ის აზრი გამოსთქვა, რომ თუმცა ხელმწიფე პრესსის მდგომარეობის გაუმჯობესობას დაჰპირდა, მაგრამ ეს ზომა პრესსას არ შეაწუხებს, რადგან შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დახურულ პრესსას შეუძლიან საქმე სენატში განასაჩივროსო (რ. ვ.).

✦ ამას წინად მიტავადან ბრძოლის ველზე ჯარი გაისტუმრეს. ჯარი აუარებელმა ხალხმა გააცილა. გაცილების შემდეგ ხალხი დაიძრა და **სარევოლუციო სიმღერებითა და რევოლვერების სროლით** ქალაქისკენ წავიდა. ამ დღეს ქალაქი გაჩირაღდნებული იყო. ხალხმა ჩირაღდნები და მაშხალები სულ გაანადგურა. მერე ჟანდარმთა სამმართველოს სადგომს მიადგა და ფანჯრები ჩაამტვრია. ამის შემდეგ ხალხი დაიშალა და ცოტა ხნის შემდეგ ქალაქ გარეთ შეიკრიბა. იქ დიდი აგიტაცია მოახდინეს. ხალხში ენატანია ურიადნიკიც შეერია, მაგრამ ხალხმა მალე შენიშნა და ჩაქოლა. იმავე ღამეს ჟანდარმთა სამმართველოს ადიუტანტის სადგომს ცეცხლი წაუკიდეს და გადაბუგეს (რ. ვ.).

✦ 1 მაისს იაროსლავში შემდეგი ამბავი მოხდა: 600 კაცი 24 ნავში ჩაჯდა და ქალაქს მოადგა. ნავებში 3 წითელი დროშა აფრიალეს და **სარევოლუციო სიმღერები და რევოლვერების სროლა დაიწყეს**. მდინარის ნაპირას აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. დემონტრანტები უმეტესად მოსწავლენი იყვნენ. ცოტახნის შემდეგ ნავები ნაპირას მოადგნენ, შიგ მსხდომნი ხმელეთზე გადმოვიდნენ, წითელი დროშა აფრიალეს და ქალაქისკენ გასწიეს. დემონსტრანტებს მოსეირნენიც შეუერთდნენ. პოლიციისა და ჯარის დახმარებით დემონსტრანტები გაფანტეს (რ. ვ.).

თეატრი და ხელოვნება

ოპერა ქართულ ენაზე.

არტისტულ საზოგადოების თეატრში ორშაბათს, მაისის 9-ს, პირველად წარმოადგინეს ქართულად კომიკური ოპერა როსსინისა „სევილიელი დალაქი“, ნათარგმნი ვალერიან გუნიასაგან. ეს საღამო სამუდამოდ დაუვიწყარი იქნება ყველასათვის, ვინც დაესწრო წარმოდგენას. ჩვენის აზრით, ქართულ ხელოვნებისათვის ახალი ხანა დაიწყო იმდღევანდელი წარმოდგენით. ყველა, ვისაც სწამს ჩვენი ხელოვნების წარმატება და ვინც მას ერთგულად ემსახურება, ყველა იდუმალი შიშით მიდიოდა თეატრში — სულ იმის ფიქრში იყო, ვაი თუ ვერ მოახერხონ საზოგადოების გემოვნების დაკმაყოფილება, მით გაახარონ ისინი, ვისაც ჩვეულებადა აქვთ ჩვენის ერის ყოველ ნაბიჯს კულტურულ წარმატების გზაზე დაცინვის კილოთი შეგებება.

ქართულ ოპერის წარმოდგენის თაოსანთ სწორედ ბედნიერი აზრი მოუვიდათ, რომ პირველი წარმოდგენისათვის აირჩიეს როსსინის მხიარული ოპერა, ბომარშეს კომედიიდან გადმოკეთებული. ყველა მომქმედნი პირნი ძალიან მწყობრად თამაშობდნენ და მღეროდნენ. მსმენელს ხშირად ავიწყდებოდა, რომ სცენაზე ხედავდნენ მხოლოდ სცენის მოყვარულთ. აღსანიშნავია ისიც, რომ სიმღერაში ქართული ისე მოისმოდა, თითქო გულწრფელაც იტალიურს უსმენთო.

სამაგალითოდ შეასრულა თავისი პარტია როზინას როლის აღმასრულებელმა ქ-ნმა მიტკევიჩისამ, რომელსაც მშვენიერი შემუშავებული ხმა აქვს. მომღერალი ქალი კარგად ჩაჰკვირვებია როზინას როლს და აკი შესაფერადაც შეასრულა. სცენაზე ძალიან თამამად და აუღელვებლად ეჭირა თავი. ბ-ნ რჩეულიშვილს, გრაფ ალმავივას როლის აღმასრულებელს, მეტად ფაფუკი და ლირიკული ტენორი აქვს, ასე რომ ძლიერ კარგს შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა მისი ხმა არც ისე ძლიერია. მან მეტად ასიამოვნა საზოგადოება იმ არიის შესრულებით, რომელსაც მღერის გრაფი ალმავივა, როზინას სახლის აივნის წინ. საზოგადოდ ტენორისათვის ეს როლი ფრიად მძიმედ ითვლება, რადგანაც მან უნდა პირველ გამოსვლისთანავე გრძელი არია შეასრულოს; მაგრამ ბ-ნმა რჩეულიშვილმა სიძნელეს ადვილად სძლია. ბ-ნი ცხომელიძე ფიგაროს როლში სწორედ საინტერესო იყო: მან ნათლად დაგვანახვა ცუღლუტ და მოხერხებულ სევილიელ დალაქის ტიპი. მღეროდა ბ-ნი ცხომელიძე ჩვეულებრივად კარგად. ბ-ნი აგასი გაიძვერა, ცილის-მწამებელ და მატყუარა დონ-ბაზილიოს როლში, ძლიერ საუცხოვო იყო, მისი ხმა რასაკვირველია, როგორც ყოველთვის, ფრიად სასიამოვნოდ გაისმოდა თეატრის დარბაზში. უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე ბ. კარგარეთელის თამაშობაც, რომელმაც რიგიანად შესრულა დონ — ბარტოლოს როლი. ანსამბლს ხელიშეუწყეს აგრეთვე ქ-ნ ბაქრაძისამ და კუხაშვილმაც.

რაც შეეხება ორკესტრს, ბ. ქართველიშვილის ლოტბაროობით, უნდა ითქვას, რომ თუმცა ის რიცხვ-მცირე იყო, მაგრამ ეტყობა ძალიან ცდილობდა — თავის მოვალეობა პირნათლად შეესრულებინა.

სწორედ დიდის მადლობის ღირსია ბ. ქართველიშვილი ასეთ ზრუნვისთვის ეროვნული ხელოვნების წარმატებაზე.

როგორც გარდმოგვცეს, მან დიდი შრომა და მხნეობა გამოიჩინა ოპერის საუკეთესო მოწყობისათვის. საზოგადოებამაც დიდის ტაშის კერით და „ვაშას“ ძახილით დააჯილდოვა ნიჭიერი ლოტბარი და აგრეთვე ყველა მოთამაშე. გამოიხმეს მთარგმნელიც ბ. გუნია. საზოგადოება, ძლიერ ნასიამოვნები დაიშალა. წარმოდგენას დაესწრო კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ დაშკოვი თავის ოჯახობით.

კარგი იქნება, რომ ხელ-ახლად წარმოადგინონ ეს ოპერა. ეს არის საერთო სურვილი. ვუსურვებთ პირველ წარმოდგენის თაოსანთ ეს თაოსანთ ეს თავიანთი მოღვაწეობა განაგრძონ და გვანახვონ, როგორც სხვა უცხო ოპერები, ისე ჩვენი საკუთარი ოპერაც ჩვენს სცენაზე.

ს. ტოლელი

—

სახაზინო თეატრი, კვირა, 8 მაისი, „**კაცობრიობის კეთილის მყოფელნი**“, დრამა 3 მოქმედებად ფილიპპისა, თარგმანი ვ. გუნიასი.

გერმანიის რომელიღაც ავტონომიურ სახელმწიფოს ჰერცოგი ავად არის. ჰერცოგს კარის ექიმი ფონ-ფორტენბახი სწამლობს. ფორტენბახის სიძე, ექიმი მარტიუსი ჩივის, ფორტენბახი გზას არ მაძლევს და ყოველთვის წინ მეღობება, რადგან მე ლიბერალი ვარ, ის კი კონსერვატორიაო. ფორტენბახს ესარჩლება იმისი ქალი, მარტიუსის ცოლი, რომელსაც თავის მამა თავდავიწყებამდის უყვარს. ბოლოს მარტიუსსაც კონსილიუმში მიიწვევენ. მარტიუსი აღმოაჩენს, რომ ფორტენბახი ჰერცოგს ცუდად სწამლობდა; თუმცა იმან იცოდა, რომ მისი წამლობა ყალბი იყო, მაგრამ არა ტყდებოდა, რადგან თავმოყვარეობა და სიამაყე ამის ნებას არ აძლევდა. ორმავე ექიმმა სახელმწიფო საბჭოში თავისი მოხსენება წარადგინეს ჰერცოგის ავადმყოფობის შესახებ. ორთავეს მოხსენება ერთი მეორეს ეწინააღმდეგება. ფორტენბახი და იმისი ქალი მარტიუსს სთხოვენ, ემუდარებიან, მოხსენებას ნუ გაჰგზავნიო და იმის მოსყიდვაც კი უნდათ, მაგრამ მარტიუსმა მოხსენება მაინც გაჰგზავნა და გადაპრით სთქვა, — ჰერცოგს აღარაჰფერი ეშველებაო. ჰერცოგი მართლა გარდაიცვალა. მიზეზი — ფორტენბახის ცუდი წამლობა იყო. ფორტენბახი მთელ ქვეყანაზე შერცხვა და სამსახურიდან გამოვიდა. ამით ნაწყენი ფორტენბახის ქალი თავის ქმარს — მარტიუსს — დაშორდა. ფორტენბახმა სინდისის ქენჯნას ვერ გაუძლო და თავის შვილებს თავისი ცოდვა გამოუმჟღავნა. თავზარდაცემულმა შვილებმა მამას ზურგი შეაქციეს. ფორტენბახმა თავი მოიწამლა, მაგრამ მარტიუსმა სიკვდილისაგან გადაარჩინა. ამის შემდეგ ყველანი შერიგდნენ და გამოქცეული ცოლიც ისევ მარტიუსს დაუბრუნდა.

ქართველ არტისტებისაგან ასეთ პიესის ასე კარგად ასრულება ჩვენ იშვიათად გვინახავს. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა.

ყველაზე ძნელი როლები მესხიშვილსა (ექიმი მარტიუსი), შალიკაშვილსა (ექიმი ფორტენბახი) და ქ-ნ დავითიშვილს (მისი ქალი) ჰქონდათ წილად. შალიკაშვილსფ რიად მრავალმხრივანი ნიჭი ჰქონია. მოხუც და არისტოკრატ ფორტენბახის დახურათება ძნელი საქმე იყო, მით უფრო, რომ მის გარეგნულ თვისებებისა, მიხვრა-მოხვრისა, კილოსი და თავის დაჭერის გარდა, საჭირო იყო (უფრო მეორე და მესამე მოქმედებაში) ფსიხოლოგიურ მომენტების გადმოცემა. შალიკაშვილმა ასეთ მძიმე და რთულ როლს სავსებით სძლია და თავის ზომიერ, რეალურ და ჭკვიანურ თამაშით საზოგადოებას ძალიან ასიამოვნა. ქ-ნ დავითიშვილის როლიც ადვილი არ იყო, მაგრამ ახალგაზდა და ნიჭიერმა მსახიობმა ამ საღამოს ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ქართულ სცენას მომავალში დრამატიულ როლების მშვენიერი მოთამაშე ეყოლება. არაფერს ვიტყვით მესხიშვილზე, რომელიც ეხლაც ისევე საუცხოვო იყო, როგორც ყოველთვის არის ხოლმე. უნდა ვუსაყვედუროთ მხოლოდ რეჟისორს, რომელმაც ბ-ნ გვარამაძეს მეტის-მეტად ძნელი როლი მისცა და ისიც უგრიმოდ გამოუშვა სცენაზე. კარგები იყვნენ გუნია, ტასო აბაშიძე, შათირიშვილი და ქ-ნი ჯავახიშვილი.

გაუგებარია ქართველ საზოგადოების გემოვნება: რადაც „ორ ჯიბგირსა“, „ორ დარაჯსა“, „ორ ობოლ“-სა და ამგვარ უშნო მელოდრამებს ესწრება და ამისთანა ხელოვნურ პიესასა და თამაშს კი ყურადღებასაც არ აქცევს!

✦

კორესპონდენცია

—

სიღნაღი. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენს მაზრაში გლეხთა მოძრაობა იწყება იმ ადგილებში, სადაც ბატონ-ყმობა არსებობდა და სადაც გლეხს დროებით ვალდებულობის მძიმე უღელი დღესაც კისერზე აწევს. ასეთი სოფლები არიან ქოდალო, ჯიმითი, კაკაბეთი, შიბლიანი და სხვები. ეს სოფლები დაერივნენ თ. მალხაზ ანდრონიკაშვილის მამულს „ბადიაურს“ აღდგომის შემდეგ და დაუწყეს ხვნა. მაზრის მთავრობამ გამოიწვია ორი ესკადრონი დრაგუნისა და უნდოდა ძალით აღეკრძალა გლეხთათვის მოქმედება, მაგრამ სოფლელები დაუხვდნენ წინ ერთობრივ: ცოლებით, შვილებით, ბალღებით და უთხრეს: აა, ჯერ სუყველას ყელები დაგვჭერ და მერე, ვისაც გინდათ, გადაეცით მამულიო. მაზრის უფროსი შედგა: არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა; ნუ თუ შესაძლებელი იყო იარაღის ხმარება უარაღო და დაჩოქილ სამი-ოთხი ათას ხალხზე, რომელთა შორის იყვნენ ძუძუ-მწოვარა ბავშვებიც? მაზრის უფროსი რომ ვედარას გახდა და ხალხიც თავისას არ იშლიდა, ეგზეკუცია ჩააყენა სოფლებში. ამ ზომამ-კი იმოქმედა, ხალხი გამოვიდა ანდრონიკაშვილის მამულიდან და ითხოვა ეგზეკუციის მოშორება.

საინტერესოა მოისმინოთ ხალხის საბუთი, რომლითაც იგი ამართლებს თავის მოქმედებას. ეს მამული (მალხაზ ანდრონიკაშვილისა) სახელმწიფო იყო და ჩვენ, გლეხებს, გვეწერა. ცნობილმა გენერალმა ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილმა, ტფილისში გუბერნატორობის დროს, წარსულ საუკუნის ნახევარში, ჩამოგვართვა ძალმომრეობით და თავისთვის დაიჭირაო. ახლა ჩვენ უნდა აღვადგინოთ ჩვენი ძველი უფლება ამ მამულზეო. ს. მელაანში დაიჭირეს თავ. ზაქარია ანდრონიკაშვილის ვენახები და მამულები და პატრონს აღარ უშვებენ შიგ. საბუთად ის მოჰყავთ, რომ მეღასნის მამული უნდა მეღასნეღებისა იყოს საერთოდ და არა ერთი კაცისა, როგორც ეს დღეს არისო.

უკანა მხრის სხვა ანდრონიკაშვილის მამულებიც გლეხებმა დაიჭირეს, ხოლო აქ კიდევ სხვა საბუთით. დროებით-ვალდებულ გლეხთა, სხვათა. შორის, „უსტავნი გრამატაში“ უწერიათ: გლეხს ნება აქვს ისარგებლოს ბატონის მამულში საძოვრით, ესე იგი თავისუფლად აძოვოს თავისი საქონელი იქ, სადაც ბატონის საქონელი სძოვს. უნდა ითქვას, რომ ეს მუხლი უსტავნი გრამატისა აქამდის არსად არა სრულდებოდა, ე. ი. არსად თავადები გლეხის საქონელს არ ატარებდნენ უსასყიდლოდ. წელს გლეხობამ მიჰმართა მომრიგებელ შუამავალს: აგვიხსენით, გვაქვს თუ არა უფლება ვისარგებლოთ საძოვრით ბატონების მამულში, თანახმად უსტავნოი გარამატისაო. მომრიგებელმა შუამავალმა უპასუხა: სრული ნება გაქვთო. შემდეგ ამისა გლეხობამ შერეკა მთელი სოფლის საქონელი თავადიშვილების მამულში და მოძოვა სათიბი ადგილები და, ასე გასინჯეთ, ჯეჯილებიც-კი. ამ ადგილზე დაიბადა დიდი შუღლი თავადებსა და გლეხებს შორის, სამაზრო ადმინისტრაციამაც ვერა მოახერხა-რა: ვერ გაიგეს, გლეხობა მოქმედობს თავის უფლების ფარგალში, თუ არღვევს თავადების უფლებას. საქმე კიდევ გამწვავდა იმ გარემოებით, რომ ზოგიერთ თავადიშვილებს, დიდი ხანია, გაუდეული აქვთ თავისი მამულები და ზოგსაც იჯარით გაცემული, და დღეს გლეხკაცობა აყენებს ზარალს არა თავის ნაბატონარს, არამედ სრულიად გარეშე პირებს. ამან გამოიწვია კონფლიქტი მაზრის ადმინისტრაციისა და მომრიგებელ შუამავალ შორის, რომლის გამოსარკვევად მიჰმართეს საგუბერნიო მთავრობას.

ქიზიყის სოფლებში ჯერ-ჯერობით სრული სიწყნარეა. ქიზიყელებს ისე უჭირავთ თავი, თითქოს ისინი ფუფუნებაში და განცხრომაში სცხოვრობდნენ...

გოგრა — ქევხა.

წერილი რედაქციის მიმართ.

—

ბ-ნო რედაქტორო! რადგან ტფილისის ქალაქის სამკურნალოსა და მისს განყოფილებებში განსაზღვრული რიცხვი მოსამსახურეთა ვერ ასდიოდა აუარებელ საქმეებს, საავადმყოფოს გამგეებმა მიიწვიეს ცხრა ბებია-ქალი და მაშინვე დაჰპირდნენ, — ცოტა ხნის სამსახურის შემდეგ, ჯამაგირს დაგინიშნავთო. დღე-დღეზე ჯამაგირის დანიშვნის მოლოდინში ზოგი მათგანი 7, 5, 4 და 3 წელიწადია, რაც უსასყიდლოდ მსახურობს, ჯამაგირის დანიშვნის შესახებ კი ყურსაც არავინ არ იბერტყავს. თუმცა არავითარ სასყიდელს არ აძლევენ, ბებია-ქალები მაინც ვალდებულნი არიან ყოველ-დღე ჯამაგირიანებსავით იმსახურონ.

ქონებრივად შევიწროებულნი, — 9 ბებია-ქალი, — მარტის ბოლო რიცხვებში შეიკრიბნენ თავიანთ საჭიროებათა გამოსარკვევად და თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს, მიეცათ თხოვნა ქალაქის სასანიტარო ინსპექტორის სტეფანოვისათვის. რადგან სტეფანოვი იმ დღეებში ტფილისში არ იმყოფებოდა, მისთვის გადასაცემი თხოვნა ქალაქის მოურავს მიართვეს. რადგანაც ამ თხოვნას ყურადღება არ მიაქციეს, გასულ 29 აპრილს ბებია-ქალებმა მიაკითხეს სტეფანოვს და პასუხი მოსთხოვეს. თუმცა ბ-ნმა სტეფანოვმა კიდევაც აღიარა, რომ მათი შრომა აუცილებელი და ნაყოფიერიც არის, მაგრამ ჯერ-ჯერობით ჯამაგირის დანიშვნის იმედი არ მისცა, რადგან ქალაქს შეძლება არა აქვსო, ხოლო თუ შემდეგისთვის დაარსდა მოსამსახურეთა შტატი, ერთისა ან ორის ბებია-ქალის მეტს მაინც ვერ ავიყვანთო.

ამაზე ბებია ქალებმა უპასუხეს: თუ ჩვენ ყველას ადრე ჯამაგირი არ დაგვენიშნება, სამსახურს თავს დავანებებთო. „მაშინ თქვენს მაგივრად სხვა „ვოლნო-პრაქტიკანტკებს“ მოვიყვანთ, რომელნიც ისევე მუქთად იმსახურებენ, როგორც თქვენ მსახურობდითო“ — უპასუხა ინსპექტორმა.

ჯერ-ჯერობით ამით გათავდა ინსპექტორთან მოლაპარაკება, არავინ იცის, ამდენის ხნის მუქთად ნამსახურ ბებია-ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის იზრუნებენ რასმე, თუ განაგრძობენ სხვისის ძალ-ღონით მუქთად სარგებლობას.

ერთი ბებია-ქალთაგანი.

✦

დამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

10 მაისი.

ტოკიო. იაპონელების ანგარიშით, ვლადივოსტოკის ჯარში უნდა იყოს მეორე აღმოსავლეთ-ციმბირის დივიზია, 9 ბატალიონისა და 4 ბატარეიდან შემდგარი, და მერვე აღმოსავლეთ-ციმბირის დივიზია — 12 როტა, 4 ბატარეია, 3 კაზაკთა ასეული, 6 საინჟენერო როტა, 2 რკინის გზის ბატალიონი და 3 როტა საპიორი. ჩრდილო კორეაში რუსის ჯარის ნაწილი მონჩხენთან არის, დანარჩენი კი კოსტანისკენ წასულა.

პარიზი. მატენის კორესპონდენტს გაუგია, რომ ტოგომ გადასწყვიტა, მოერიდოს ნამდვილ ბრძოლას, ხოლო მოსვენება არ მისცეს რუსის ესკადრას და ჩამოაშოროს და დაღუპოს სანახშირე გემები და ტრანსპორტები. ტოგო იმ აზრისაა, რომ კრეისერებს მცირე სარგებლობა მოაქვთ.

პეტერბურგი. დეპეშა გენერალ ლინევიჩისა: 6 მაისს ერთმა ჩვენმა რაზმმა შახეძი დაიჭირა და 7 მაისს სამხრეთისკენ მიიწევდა. 6 მაისს სადგურ ჩინტაფუსთან მტერმა ზაარბაზანი დაუშინა, ხოლო რაზმმა მტერი სადგურიდან გააძევა და სამხრეთისკენ დააწევინა. 7 მაისს ერთი რაზმი ნანჩენძის მიუახლოვდა და გადასწვა. ამავე დღეს სოფელ არმაგანთან, 4 მილის მანძილზე, ძინჯუანძიდან დასავლეთისაკენ, სროლა იყო ორთავ მხარეს.

ჰონკონგი. 5 მაისს საიგონში 50 სანახშირე გემი იყო. რუსების ტრანსპორტების კაპიტნებმა დაბეჭდილი ბრძანება მიიღეს თავად ლიკენისა, კრეისერ დიანის კომანდირისა. იუწყებიან, რავდენსამე ნახშირით დატვირთულ გემს ცეცხლი მოედოო.

ტოკიო. რუსებმა მანჯურიაში წინ წაიწიეს ფინჩუანჩენთან და ჩანთაფუსთან. გამოიდარა, თბილი დღეები დაიჭირა, ძალიან მალე გამოირკვევა მდგომარეობა.

პარიზი. კარდიფიდან ბელგიელი გემი მოვიდა, რომელიც ვლადივოსტოკს დაიარება; აქედან სჩანს, რომ ვლადივოსტოკისთვის ჯერ ალყა არ შემოურტყამთ.

გუნჯულინი, 8 მაისი. აღმოსავლეთის მხარესა და ჯარების შუაგულში იყო რამდენიმე შესამჩნევი ბრძოლა, რომლის დროსაც იაპონელთა მოწინავე რაზმებმა ცოტათი სამხრეთისაკენ დაიწიეს და დაუტოვეს რუსებს ერთი პატარა ტრანსპორტი სურსათ-სანოვაგითა.

ლონდონი, 9 მაისი. ტოკიოდან მიღებული დეპეშა შემდეგს ოფიციალურს სანდო ცნობებს იუწყება: 7 მაისს, ჩანტუფუს რაიონში, რუსთა ქვეითა ჯარის ერთ-ნახევარმა როტამ და ცხენოსანთა რაზმის ერთმა პოლკმა, რომელსაც 2 ზარბაზანი ჰქონდა, შემოუარა გარს სანტაოკუს მაღლობებს, 12 ვერსის მანძილზე დასავლეთიდან, ჩანტუფუსთან მდებარე ქვა-ნახშირის მადნებიდან 15 ვერსის მანძილზე ჩანტუფუს დასავლეთად და აუტეხა მტერს სროლა (ცოტა ხანს მერე მოვიდა კიდევ 4 ზარბაზანი და ორი ბატალიონი), ხოლო ამის შემდეგ იწყო მტერზე ზედ-მისევა სოფლის აღმოსავლეთის მხრიდან. მეორე რაზმი, რომელშიაც ქვეითა ჯარის 300 კაცი იყო, ოთხი ესკადრონი და ოთხი ზარბაზანი, განდევნილ იქმნა იაპონელთა-მიერ დილით. ის იყო, ეს რაზმი შევიდა ერშიპაოს, სინლუნშანის მხრით, რომ უცბად მოულოდნელად უკან დაიხია იმ სოფლიდან მდინარე ლიაოხეს მარჯვენა ნაპირისაკენ. დილის 10 საათზე რუსთა ცხენოსანი ჯარის-კაცნი ცხენებიდან ძირს ჩამოვიდნენ და ქვეითად შეუტიეს იოანნსინს, ფაკუმინიდან 19 ვერსზე სამხრეთ-აღმოსავლეთად. ერთის საათის ბრძოლის შემდეგ რუსებმა უკან დაიწიეს დიდს მანძილზე სამხრეთ-დასავლეთისაკენ. დასტოვეს ბრძოლის ველზე 300-ზე მეტი მოკლულ-დაჭრილი. სხვაგან ცვლილება არსად მომხდარა.

მინსკი. გაფიცვა მოედო ყველა სამქარხნოს, თუჯისა და მანქანების ქარხნებს. ქალაქის წყალ-საჯვნის ელექტრონულ სადგურთან გაფიცულები მოგროვდნენ და მომუშავეთ აქეზებდნენ, გაიფიცეთ, რომ ქალაქი უწყლოდ და უსინათლოდ დარჩესო; მაგრამ ამ ვერ დააშლიეს. სადგურს ჯარი ახვევია.

ოდესა. ქალაქის საყასბოებში საქონელი აღარ იკვლის, რადგან ყასბები გაიფიცნენ.

მოსკოვი. მოსკოვის გაზეთების ასოთ-ამწყობებში მღელვარებაა, რადგან ჯერ ვერ შეთანხმებულან, რა დღესასწაულები იქმნონ. გამომცემლებიც ასოთ-ამწყობთა მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებენ.

ტოკიო, 9 მაისი. ბანკეთი ჰქონდათ იაპონიის წარჩინებულთა წრეების წარმომადგენლებთ. ინგლისის ელჩმა მიკადო ადღეგრძელა, მინისტრ-პრეზიდენტმა კი ინგლისის მეფე.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში ბროდრიკმა განაცხადა, ინდოეთში 19 დეკემბრიდან 16 აპრილამდე შავ-ჭირისაგან 1,307,707 კაცი მომკვდარაო.

სტამბოლი. ოსმალეთ-რუმინიის გახ ათქილება მორიგებით გათავდა.

ჰააგა. სამედიატორო სასამართლომ განიხილა გერმანიისა, საფრანგეთისა და ინგლისის საჩივარი იმის გამო, რომ იაპონიამ გარდასახადი შეაწერა კონცესიურის წესით უცხოელთათვის დათმობილ ადგილებზე აგებულ შენობებს და საჩივარი სამართლიანად აღიარა. იაპონიის ელჩმა მონატომ უკმაყოფილება განაცხადა.

დრეზდენი. ნაციონალ-ლიბერალების კრებაზე რეიხსტაგის წევრმა ბასსერმანმა სიტყვა წარმოსთქვა აწინდელ პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ და დაუმატა, ინგლისის პოლიტიკა რომელიც მუდამ სხვა სახელმწიფოთაგან სარგებლობას ეძებდა, ეხლა რაღაცნაირად უკავშირდება იაპონიის პოლიტიკას, ხოლო იაპონია მიხვდება, რომ ასეთ კავშირებს გასავალი არა აქვსო.

პეტერბურგი. მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა უფლების სამინისტროს მთავარ მმართველი სამსახურეთა სვე-ბედი გადაწყდება მაშინ, როდესაც გამოქვეყნებულ იქმნება მიწად-მოქმედებისა და ადგილ-მამულის მოწყესრიგების მთავარ-სამმართველოს მოხელე-მოსამსახურეთა ახალი შტატი, ხოლო მანამდე კი ისევ ძველი სამინისტროს ახლანდელი მოხელენი აწარმოებენ საქმებს.

ი. ლ. გორემიკინის თავმჯდომარეობით შემდგარ საგანგებო საბჭოს პირველი სხდომა ექმნება 17 მაისს.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 3 მაისი 1905 წ.

სამ-თვიან ვექსილის კურსი:

ლონდონის ბირჟაზე 10 გირვ. სტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ჩეკები ლონდონისაზე	94,90
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,67½
ბირჟის დისკონტი	5½—6¾%
4% სახელმწიფო რენტა	—
4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სააღ.-მამ. ბანკ.	—
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	379
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	290¼
5% გირ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	256
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	85½
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
4½% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. სააღ.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	195
ძმ. ნობელის ნავთ. მრეწვ. ამხ. პაი	9950

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში — ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევს 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევს 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევს 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევს 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპნამდე: ნაშუადღევს 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში — 12 მ., ცალკე ოთახში — 60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვი. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი — ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.

2) დიდუბეში. სახლი [illegible].

განცხადებანი

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
„შრომა“
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს, რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.

პირველად ქართულს ენაზე
✦ ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი ✦
უცხო სიტყვათა ლექსიკონი
რომელშიაც შეკრებილ-განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა ყველასათვის გასაგები ენითა და მაგალითებით, — რუსულისა და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი **იოსებ იმედაშვილის** მიერ. წიგნს დართული აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. „**უცხო ანდაზები და წინადადებანი**, რომელიც არა ერთგზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 სვ., დაბეჭდილია სუფთად, კარგ ქაღალდზე და ღირს მხოლოდ 1 მან., საუცხოვო (ოქროს-ვარაყიან ასოებით დაბეჭდ.) კალენკორის ყდით — მანათ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 30 კ. წიგნი ფას-დადებითაც შეიძლება გაიწერონ. უმთავრესი საწყ. ტფილისში, ქვაშვეთის ქ., გამომცემლის წიგნთ-სავაჭროში. ადრესი: Тифлисъ, книжная торг. I. З. Имедашвили.
(10—5.—2).

Дозволено цензурою, Тифлисъ, 10 мая 1905 г. ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.